საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 24 მარტი. 2016 წ. №54 (7946), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რატომ არავინ ლაპარაკობს მეცნიერების ხარისხის

⑤ **გაუმჯობესებაზე?**

რეინ მეტრეველი

შვიდ სამეფოდ განწესებული

⑥

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

ფილიპ ბრიდლავი:

აგრესიულმა რუსეთმა ერთპიროვნულად არჩია, რომ იყოს მსოფლიოს მოწინააღმდეგე!

②

რიჩარდ მაილსი:

საკაშვილის გუბერნატორობა ჩემთვის დღემდე

⑧ **უცნაურია!**



თუმც ეფარები გირჩას, ბოლო რომ

③ **მაინც გიჩანს?**

ვისაც „ერთი ადგილი“ მოსვრილი აქვს, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით თანამდებობიდან სასწრაფოდ გადადგეს!

მეგაპორტების მომავალი ორთაბრძოლა

②

④

კოჰაბიტაციის საფრთხე

...როცა ურჩხული იწყებს მართვას!

⑤

საპენსიო რეფორმა ინფლაციის დონის გათვალისწინებით

ყინულის ჰოკეი

⑩

55 წლის გადასახედიდან

საქართველოში ტრაქტორების

⑤

ამწყობი ქარხანა აშენდება

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

ბელარუსში 9 ქართველი გმირი იბრძოდა!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, ბელარუსის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დასასრულს, სამამულო ომის მუზეუმი დაათვალიერა.

საქართველოს მთავრობის პრეს-სამსახურის ცნობით, მუზეუმში დაცულია მეორე მსოფლიო ომის ექსპონატები – შეიარაღება, მოიერიშე თვითმფრინავები, ბომბდამშენები, ტყვიამფრქვევები.

პრემიერი გაეცნო მუზეუმში დაცული ექსპონატების ისტორიას, რომელთა შორის არაერთი ორიგინალია.

მთავრობის მეთაურს ასევე მიაწოდეს ინფორმაცია ქართველების შესახებ, რომლებიც ბელარუსის დასაცავად იბრძოდნენ. მათ შორის არის მინსკის პარტიზანული გაერთიანების წევრი თენგიზ შავგულიძე, რომლის მიერ შექმნილი პარტიზანული ხელყუმბარა ომის დროს გამოიყენებოდა. ბელარუსის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში 9 ქართველმა უმაღლესი ჯილდო, გმირის წოდება მიიღო. ბელარუსში მათ ხსოვნას დღესაც პატივს მიაგებენ.

აგრესიულმა რუსეთმა ერთპიროვნულად არჩია, რომ იყოს მსოფლიოს მოწინააღმდეგე!

რუსეთის მცდელობა მიმართულია იქითკენ, რომ შეიცვალოს საერთაშორისო სისტემის წესები და პრინციპები, მოხდეს თავისუფალი სამყაროს ერთიანობის დანაწევრება და ჩვენი სიმტკიცის გამოწვევა, – განაცხადა საქართველოში ვიზიტად მყოფმა ამერიკის ევროპული სარდლობის მეთაურმა ფილიპ ბრიდლავმა თავდაცვის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე.

გენერალ ფილიპ ბრიდლავმა ყურადღება გაამახვილა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე და აღნიშნა, რომ რუსეთის აგრესიას თანამედროვე სამყარომ მხოლოდ ერთადერთი რამ უნდა დაუპირისპიროს, – ერთიანობა და რაც შეიძლება მეტი სამხედრო წვრთნები!

„აღმოსავლეთით ვხედავთ აღზევების გზაზე მყოფ აგრესიულ ქვეყანას, რუსეთს, რომელმაც ერთპიროვნულად არჩია, რომ იყოს მოწინააღმდეგე და წარმოადგენდეს მაღალ აგრესიულობას, როგორც აშშ-სთვის ასევე ჩვენი ევროპელი მოკავშირეებისა და პარტნიორებისთვის. ჩვენ სრულად და მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას,“, – აცხადებს ფილიპ ბრიდლავი.

ბრიდლავის თქმით, ის დღეს ადმინისტრაციულ საზღვართან იმყოფებოდა და ადგილზე გაეცნო მოსახლეობის მდგომარეობას.

„ვიხილე როგორ არის გაყოფილი თქვენი ხალხი ორად. თქვენს ქვეყანას აქვს გამოცდილება უშუალოდ განეცადა რუსეთის მცდელობა, გააძლიეროს მისი იძულებითი გავლენა საკუთარ საზღვრებს მიღმა. ახლა ის ცდილობს აგრესიულად ითამაშოს საკუთარი როლი მსოფლიო არენაზე. საბოლოო ჯამში რუსეთის მცდელობა მიმართულია იქით, რომ შეიცვალოს საერთაშორისო სისტემის წესები და პრინციპები, მოხდეს თავისუფალი სამყაროს ერთიანობის დანაწევრება და ჩვენი სიმტკიცის გამოწვევა,“ – განაცხადა ამერიკელი გენერალმა.

გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის დელეგაციას წულუკიანმა უმასპინძლა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი პოლგერ მიუნჰი მიიღო. შეხვედრა იუსტიციის სამინისტროში გაიმართა და მას გერმანიის ელჩი საქართველოში ბეტინა კადენბახი და სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელი გიორგი პატარიძე ესწრებოდნენ.

მინისტრმა გერმანიის კრიმინალური სამსახურის დელეგაციის წევრებს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით გატარებული რეფორმების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. შეხვედრაზე განსახილველ თემებს შორის იყო დოკუმენტების უსაფრთხოება, მიგრაციის პოლიტიკა და სისხლის სამართლის რეფორმა.

„გერმანიის ფედერალური კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელისა და მისი დელეგაციის ვიზიტი, რა თქმა უნდა, უკავშირდება ჩვენს თანამშრომლობას დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ პირდაპირ კავშირშია, ასევე, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების მომავალ გადაწყვეტილებასთან. ეს პროცესი, როგორც ვიცით, დაძრულია და ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და მათ ძალოვან სტრუქტურებში უნდა შეიქმნან ის განცდა, რომ საქართველოდან საზღვრების გახსნის შემთხვევაში ჩასული მოქალაქეები დაიცავენ იქაურ კანონს და არ შექმნიან დანაშაულის საფრთხეს. ამიტომაც ჩვენი თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის უნდა გაათამაგდეს და მნიშვნელოვანია, ასევე, ის პრეცედენტები, რაც გერმანიაში არსებობს – და ამაზე ფართოდ ისაუბრა ჩვენმა სტუმარმა – რომ იქ ჩასული საქართველოს მოქალაქეები თავშესაფრის ძებნის საბაბით ჩადიან ძარცვის, ყაჩაღობის, ქურდობის დანაშაულს. ჩვენ ვთანამშრომლობთ მათთან იმისთვის, რომ ასეთი მოქალაქეები უკან დავიბრუნოთ და მათ სასჯელი მოიხადონ ქართულ ციხეში“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მხარეებმა იუსტიციის სახლის სერვისების შესახებაც ისაუბრეს.

◎ ახალი პროექტები

მეგაპორტების მომავალი ორთაბრძოლა

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ამჟამად ოთხი დიდი სატვირთო ნავსადგური მოქმედებს, ლაპარაკი კიდევ ერთი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის აშენების აუცილებლობაზე წლების მანძილზე მიმდინარეობს, ამ ხნის მანძილზე რამდენჯერმე თითქოს გამოიკვეთა კიდეც ანაკლიაში ასეთი ნავსადგურის მშენებლობის პერსპექტივები, მაგრამ, გარკვეულ მიზეზთა გამო, ყოველ ჯერზე ჩანაფიქრის განხორციელებას ბედი არ ეწერა.

შავი ზღვისპირეთში კიდევ ერთი, ახლა უკვე სატვირთო ნავსადგურის მშენებლობის აუცილებლობა, უწინარესად, იმითაა განპირობებული, რომ სადღეისოდ მოქმედ ოთხ ნავსადგურში – **ბათუმში, ფოთში, ყულევსა და სუფსაში** – გემთმისადგომთან ნავსადგურის აკვატორიის სიღრმე დიდი წყალრწყვის გემების მისაღებად საკმარისი არ არის. ამას კი, ლოჯისტიკურად დიდი მნიშვნელობა აქვს გადაზიდვის ღირებულების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ **ბათუმის** სატვირთო ნავსადგურში, იჯარის საფუძველზე, ამჟამად ყაზახური კომპანია ოპერირებს, რომელიც თხევად, ასევე ნაყარ ტვირთებსა და კონტეინერებს ამუშავებს. „ბრიტიშ პეტროლიუმის“ საკუთრებაა **სუფსის** ნავთობტერმინალი. **ფოთის** ნავსადგურში კი, რომელიც დანიური „მაერსკ გრუპის“ დამოუკიდებელი ბიზნეს-სუბიექტის „ეიფიემ ტერმინალსის“ კუთვნილებაა, მშრალ ნაყარ ტვირთებსა და კონტეინერებს ამუშავებენ, ხოლო აზერბაიჯანული „სოკარის“ კუთვნილი ყულევის ნავსადგურით ძირითადად ნავთობპროდუქტები, სხვა თხევადი ტვირთები გადის.

ბოლო ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე საქართველოს მთავრობა, კერძოდ კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ანაკლიაში ღრმაწყალა ნავსადგურის ასაშენებლად ინვესტორს ეძებდა, რომელიც სულ ახლახან, თებერვლის დასაწყისში გამოვლინდა. ცნობილი გახდა, რომ ამ პროექტს **ანაკლიის განვითარების კონსორციუმი** განახორციელებს, რომელიც „თიბისი ჰოლდინგისა“ და ამერიკული „კონტი ინტერნეშნელის“ მიერ ერთობლივად დაარსებული კომპანიაა. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონსორციუმმა ცოტა ხნის წინათ „CG-LA ინფრასტრუქტურის“ უმაღლესი ჯილდო „წლის სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტისთვის“ მიიღო საერთაშორისო მნიშვნელობისა და საინვესტიციო შესაძლებლობების მოდელის შექმნისათვის. ამ სტრატეგიულ ინიციატივას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონის განვითარებისთვის, იგი ბევრად გაზრდის ეკონომიკურ პოტენციალს, განვითარების სტიმულს ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნებისთვის, საგრძნობლად გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონესა და ხელს შეუწყობს იქაური ინფრასტრუქტურის გაფართოებას.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ უნდა განახორციელოს 2,5 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტი. შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ანაკლია უმოკლესი მარშრუტია ჩინეთიდან ევროპამდე. იქ ღრმაწყალა სატვირთო ნავსადგურს, სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ექნება როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის, ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებებით ტვირთბრუნვის ინტენსიფიკაციისთვის, გადაზიდვების დროისა და, შესაბამისად, ღირებულების შემცირებისთვის. პროექტის ფარგლებში, ნავსადგურის მშენებლობის ეტაპზე, ანაკლიაში 3400 სამუშაო ადგილი შეიქმნება, ხოლო მათი დასრულებისა და ნავსადგურის სრულფასოვნად ამოქმედების შემდეგ იქ დაახლოებით 6400 კაცი დასაქმდება.

ამასთან, ცხადია, რომ ანაკლიაში ამოქმედებული ახალი ღრმაწყალა სატვირთო ნავსადგური კონკურენციას გაუწევს საქართველოს შავი ზღვისპირეთის სხვა ნავსადგურებს, პირველ რიგში ფოთისას. სწორედ ამის შესახებ განაცხადეს ცოტა ხნის წინათ ფოთის სატვირთო ნავსადგურის მფლობელებმა, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისინი საამისოდ ემზადებიან, და, „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ირაკლი იაშვილის თქმით, „აღნიშნული განზრახვის გაჟღერება-შეტყობინება უნდა იყოს ანაკლიის ნავსადგურის პოტენციური ინვესტორისთვის“. მისივე განცხადებით, ნავსადგურის მფლობელი კომპანია „ეიფიემ ტერმინალსი“ ფოთში ასევე ახალი ნავსადგურის აშენებას, უფრო სწორად კი არსებულის გაფართოებას გეგმავს, რა მიზნითაც უკვე დასრულებულია ახალი ღრმაწყალა ნავსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე ზემოქმედების შეფასებითი სამუშაოები. ამჟამად მოქმედი ფოთის ნავსადგურის გაფართოების სამუშაოები რამდენიმე ეტაპად განხორციელდება, რომელთაგან პირველი 2016 წელს დასრულდება და ორი ახალი ღრმაწყალა გემთმისადგომის მშენებლობას ითვალისწინებს.

კომპანიის ინფორმაციით, აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ, 16 მეტრის სიღრმის ფოთის მეგაპორტის ტვირთბრუნვა წელიწადში 50 მილიონი ტონა და 2 მილიონი კონტეინერი იქნება. მშენებლობის პირველ ეტაპზე დაგეგმილია 250 მილიონი დოლარის ინვესტიცია.

ამდენად, ფოთში ძველი სატვირთო ნავსადგური ჩვეულ რეჟიმში მუშაობს, მაგრამ, ახლო მომავალში, იქ ორი მძლავრი ღრმაწყალა გიგანტის საასპარეზო გაჩნდება, რაც ბუნებრივია, კონკურენციას შექმნის. რამდენად სასიკეთოდ წაადგება ყოველივე ეს ქვეყანას, რამდენად შეძლებენ კონკურენტები გადამზიდველების მოზიდვას, ამას უკვე რეალური საქმე წარმოაჩენს.

ოთარ ტურაბელიძე

თუმცა ეფარება გირჩას, ბოლო რომ მაინც გიჩანს?

ვისაც „ერთი ადგილი“ მოსვრილი აქვს, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით თანამდებობიდან სასწრაფოდ გადადგეს!



მკითხველი იოლად მიხვდება, რომ წერილის სათაური იმ ანდაზის გადაფრაზირებული კი არა, გადაკეთებული ვარიანტია, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, რომ ამბობს.

თავად გირჩა კი ვითომ ნაციონალთაგან „განდგომილ-განცალკევებული“ კვარტეტის წევრებმა, ალბათ, თავიანთი ერთი თანამოაზრის, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის გოგა ხაჩიძის რჩევით ან სულაც მის პატივსაცემად დაარქვეს თავიანთ „კანტორას“.

თუმცა, ეს ჩემთვის მეორე კი არა მეასეხარისხოვანიცაა და მთავარ თემასაც ავცდი. მთავარია, რამ გამახსენა გირჩა.

რამ და, „ცრუსთავი-2“-ის გუშინწინდელ „არჩევანში“ ერთი გირჩელის ზურაბ ჯაფარიძისთვის შემთხვევით თვალის მოკვრამ, როდესაც ერთ-ერთ არხზე ჩემთვის სასურველი გადაცემის ძიებისას პულტით ვმანიპულირებდი. შემთხვევით-მეთქი, შემთხვევით სულაც არ მითქვამს.

რა ვქნა, „ცრუსთავი-2“-ს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, **ვერ კი არა, არ ვუყურებ.** განსაკუთრებით საინფორმაციო გადაცემებს, პირველი წუთებიდანვე, რაღაცნაირი ღვარძლიანი ნიშნის მოგებით, უკაცრაული პასუხია და, ჟარგონით თუ ვიტყვით, ხომ გერხევათო, რომ იგრძნობა, სიუჟეტებშიც და ჟურნალისტთა არცთუ კარგად შენიღბულ ინტონაციასა თუ მათთვის წამყვანთაგან დასმულ პროვოკაციას მიმსგავსებულ კითხვებზე გაცემულ პასუხებშიც **(თუმცა იქაური ჟურნალისტების, ვითომ ჟურნალისტების ან ვაიჟურნალისიტებისგან რას ველით უკეთესს, როცა მათი გენდირექტორი დაგვემუქრა პირდაპირი ეთერით — ჯოჯოხეთს მოგიწყობთო და გვიწყობს კიდეც?).**

არადა, იგი, ამ ტელეკომპანიის ამჟამინდელი გენდირექტორი, რომ აშკარად ინტელექტუალი და ნაკითხი კაცია, ფაქტია. და სწორედ ამის გათვალისწინებით, ვინ ვინ და, სწორედ მან უნდა იცოდეს მრავალზე ბევრად უკეთ, რომ „კურიერის“ ფაქტობრივად ყველა გამოშვების უარყოფითი ფაქტების გაშუქებით დაწყება, დადებითის კი ლამის გადაცემის მეორე ნახევარში გადატანა ან სულაც მიჩქმალვა, ყველაფრის მუქ ფერებში წარმოჩენა, რაც ვითომ ხელისუფლების უნიათობა-უძლურების საჩვენებლად, მისი „ჩახდის“ მიზნით კეთდება (არადა, ხალხმა, ყოველ შემთხვევაში, მისმა უმეტესობამ, კარგად იცის, რომელი „მეფე“ იყო თუ არის „შიშველი“), **არა იმდენად ამ ხელისუფლებაზე, რამდენადაც, უწინარესად, ჩვენი საზოგადოების უბრალო, სოციალურად შეჭირვებული, უმწეო ფენის წარმომადგენლებზე მოქმედებს ლამის გამანადგურებლად, შიშს და საკუთარი თავის უძლურებას უნერგავს, მომავლის რწმენას უკარგავს, ლამის დეპრესიაში აგდებს მათ?**

იცის, მაგრამ რა ძნას, როცა მიზანი ამართლებს საშუალებას?

გენდირექტორისა არ იყოს, ვერც „ცრუსთავი-2“-ის ყველა თანამშრომელზე იტყვის ბევრი ერთმნიშვნელოვნად, უნიჭოაო. სწორედაც რომ, პირიქით!

მაგრამ იმ სიბრძნისა არ იყოს, ჭკვიან მტერს უფრთხილდიო, ისეა ამ შემთხვევაში საქმე: **სწორედ ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანების მიერ მომზადებული ის შხამი და სამსალაა ძნელად მოსანელებელი, ყოველდღე რომ იღვრება ამ ტელეარხიდან ეთერში.**

რას ვიზამთ, გნაცმოძრაობელთა გონებასა თუ კანტორაში ხომ მუდმივად თუხთუხებს გესლით და სხვა უამრავი უბედურებით სავსე უძირო ქვაბი, საიდანაც განუწყვეტლივ გადმოედინება საწამლავი. „ცრუსთავი-2“ კი, რომელსაც სხვა „ჭურჭელი“ — პანდორას ყუთი — აქვს მუდმივად თავახდილი, გნაცმოძრაობის კუდის ამწევი და მესაყვირე რომ არის, ყველამ ვიცით.

როგორც ჩანს, კვლავ გამექცა კალამი. ამიტომ ახლა უკვე — პირდაპირ საქმეზე.

პანდორას ყუთიდან გუშინწინდელ „არჩევანში“ მავანთა პირად ცხოვრებაზე გადაღებული მაკომპრომეტირებელი მასალების თემაზე მსჯელობა „გადმოდუღებულიყო“.

— რა გარანტია გვაქვს, რომ ეს მასალები ჩვენს მტერსაც არ ჰქონდეს ხელთ ჩაგდებული და ჩვენს საწინააღმდეგოდ არ იყენებდეს ან არ გამოიყენოსო? — იკითხა რესპონდენტმა.

ამის არანაირი გარანტია არა გვაქვს, ბატონო ზურაბ, და სავსებით მესმის და ვიზიარებ თქვენს შეშფოთებას.

თუმცა, ვიდრე სრულად „შემოგიერთდებოდეთ“ ამაში, ერთი გადახვევის უფლებას მივცემ საკუთარ თავს: **თქვენ მტერში უთუოდ და მხოლოდ რუსეთსა და რუსებს გულისხმობთ, მაგრამ ნურც ჩვენს ზოგიერთ დასავლეთელ „მეგობარს“ დავივიწყებთ,** რომელთაგან ზოგმა საკუთარი მერკანტილური, ზოგმაც სტრატეგიულ-ფუნდამენტური მოსაზრებებით არამცთუ შეიძლება გამოიყენოს, არამედ იქნებ გამოიყენა კიდეც ეს მასალები (თუმცა, ცხადია, მათ ჩვენზე ზემოქმედების სხვა, ბევრად ძლიერი ბერკეტებიც აქვთ!).

იქნებ ძირითადად ამის შედეგიც იყოს ჩვენთვის თავს მოხვეული კოჰაბიტაცია, რომლის წყალობითაც ბევრი თქვენი თანაგუნდელი, ბატონო ზურაბ, რომლებმაც არჩევნების წაგების მეორე დღესვე, მოსალოდნელი სამართლიანი სასჯელისგან თავის დასაღწევად, მოცოცხეს საზღვარგარეთ, მერე კი, როცა ნახეს, ყურზე ხახვსაც ვერავინ დაგვაჭრისო, უკან მობრუნდნენ და ახლა აქეთ გვმოძღვრავენ?

ან იქნებ ამის გამოც მივიღეთ ზოგიერთი ისეთი კანონი, თუნდაც ანტიდისკრიმინაციული, რომლის დაკანონებასაც ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ეწინააღმდეგებოდა?

და პირიქით, იქნებ ამ კადრების გამომზეურებით ცალკეული კანონმდებლების დაშანტაჟების თუნდაც მცდელობის შედეგიც გახლავთ მათი ის უარყოფითი დამოკიდებულება კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებისადმი, რომლის მიხედვითაც ოჯახად მხოლოდ ქალისა და მამაკაცის წყვილი შეიძლება ჩაითვალოს და რის მხარდაჭერასაც ჩვენი საზოგადოების ასევე უდიდესი ნაწილი მოითხოვს?

ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, მაგრამ რუსეთს რომ ამაში არანაირი წვლილი არ მიუძღვის, ხომ ფაქტია, ისევე როგორც ის, რომ ერთსქესიანთა ქორწინების მხარდაჭერა და ამის ფონზე ჩვენთან ლგბტ-ელთა „გაჯეჯილება“ სწორედ ჩვენი დასავლეთელი „მეგობრების“ წყალობაა?

ახლა კი ის, თუ რაში და რატომ გიჭერთ მხარს, ბატონო ზურაბ.

ეს კადრები რომ ჩემნაირ მავან რიგით მოქალაქეებზე იყოს გადაღებული (თუმცა, ჩვენ ვის რა ოხრობად ვჭირდებით!), ეს მხოლოდ მათი, ამ მოქალაქეების თუ იმათი ახლობლების პრობლემა იქნებოდა, **მაგრამ როცა ამ კადრებით ჩვენს მტრებს, ან საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედ ჩვენს ცალკეულ „მეგობრებს“ შეეძლებათ ჩვენი ზოგიერთი კანონმდებლის, გავლენიანი პოლიტიკოსის, მთავრობის წევრის ან მაღალჩინოსანთა დაშანტაჟება, აქ უკვე უკაცრავად, ბატონებო — საფრთხის ძვეშ მთელი ჩვენი ძვეყანა და მისი ინტერესები დგება.**

ამიტომაც სავსებით ვემხრობი პარლამენტარ სოსო ჯაჭვლიანის სიტყვებს, რომ, ჯერ ერთი, **პოლიტიკა ბინძური არ უნდა იყოს, და, მეორეც, ისე უნდა ვიცხოვროთ** (მით უფრო, პოლიტიკოსებმა თუ ქვეყნის მართვის საკითხებთან ახლოს მდგომმა მაღალჩინოსნებმა — **რ. რ.**), **რომ ჩვენი ცხოვრება ვინმეს კომპრომატად არ გამოადგესო.**

ეს საუკეთესო ვარიანტია, მაგრამ თუ ასე არ არის (ყველამ ვიცით, რომ, სამწუხაროდ, არ არის ასე! — **რ. რ.**) და ასევე ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთ მათგანზე ამგვარი მაკომპრომეტირებელი მასალები მართლაც აქვთ ჩვენს მტრებს, მაშინ რა ვქნათ? **მივცეთ მათ ზემოაღნიშნული პოლიტიკოს-მაღალჩინოსნების შესაძლო დაშანტაჟების გზით ჩვენი ქვეყნის მართვაში პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის საშუალება?**

არავითარ შემთხვევაში ბატონებო და ქალბატონებო! თქვენ, ამიტომ, ვისაც „ერთი ადგილის “ თავის ადგილზე „დაყენება“ არ ძალგიძთ, ან სხვა რამ ულირს საქციელში ხართ „გამოჭერილი“, ანუ გირჩას ამოფარებულთ ბოლო მაინც გიჩანთ, კეთილი ინებეთ და, ვიდრე თქვენივე უსაქციელობის გამჟღავნების მუქარით შეეცდებიან თქვენს დაშანტაჟებას და ამით გაიძულებენ თქვენივ სამშობლოს ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღებას და, კიდევ უარესი, ვიდრე გაგაკეთებინებენ კიდეც ამას, კეთილი ინებეთ და დაკავებული თანამდებობებიდან გადადექით!

რუსლან რუსია

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები რაულ კასტროს ღირსებასა და... უცხვირპირო პარლამენტარის შესახებ

● ბუნიათიშვილი დაუკრავს, სუხიშვილები კი იცეკვებენ და... სოფელიც აშენდება!

● ნახევარი პარლამენტი ბრიუსელში (კინაღამ „გდია“ ვთქვი) იმყოფება თურმე. ამაზეა ნათქვამი: ვინც კი შინ არ ვარგოდაო, ბრიუსელში გარბოდაო.

● მიხარია, რომ საქართველომ, როგორც იქნა, ერთ ნორმალურ, დალაგებულ და საქმიან ქვეყანასთან დაამყარა კონტაქტები. ბელარუსს ვგულისხმობ, რასაკვირველია.

● ქალს ცხვირი საერთოდ არ ქონდეს და მაინც სხვის საქმეში ყოფდეს პირველად ვნახე. სალომე სამადაშვილზე მოგახსენებთ.

● ღირსების რევოლუცია, სხვა სახელს ამას ვერ დაარქმევ... მსგავს საქციელს ალბათ სულ რამდენიმე ადამიანი გაბედავდა დღესდღეობით მსოფლიოში.

კუბის პრეზიდენტმა რაულ კასტრომ ობამას ხელი გააწევინა, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტს მისთვის ზურგზე სურდა მეგობრულად ხელის შემორტყმა.

აი, ეს არის ღირსება — როდესაც მსოფლიოს ჟანდარმი ჩამოდის შენთან, ის ჟანდარმი, რომელმაც 50 წლის განმავლობაში უმიზეზოდ ბლოკადაში მოგაქცია, შენ ეგრევე კი არ უნდა დაუწვე და უკანალი არ უნდა აულოკო, არამედ შენი მეობა და ღირსება დაანახვო, ყველაფრის მიუხედავად.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ



...როცა ურჩხული იწყებს მართვას!

„ხელისუფლებას გაუჩნდა განცდა, რომ მას შეეძლო ურჩხულის მართვა. სინამდვილეში, ურჩხულის მართვა შეუძლებელია, რადგან, რაღაც მომენტიდან ურჩხული შენს მართვას იწყებს. სამწუხაროდ, ასეთი სისტემის მძევალია დღეს ხელისუფლება და ამაშია პრობლემა“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ექსპერტი გია ხუხაშვილი, რომლის განცხადებით, ივანიშვილის პრობლემაა ის, რომ ვერ გააცნობიერა საფრთხე, რაც ამ კოჰაბიტაციას მოყვებოდა. for.ge გია ხუხაშვილს ესაუბრა.



— ბატონო გია, მთავარ პროკურატურაში დაწყებულია გამოძიება. პარალელურად, გამოძიება დაიწყო იმ მუქარებთან დაკავშირებით, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა. ანალოგიური შინაარსის მუქარა მიიღო რამდენიმე ტელევიზიამ. რამდენად სერიოზულია პრობლემა?

— ვფიქრობ, რომ სერიოზულია. ეს რომ ყოფილიყო ბინძური ხულიგნობა, ამ შემთხვევაში დაფრთხებოდნენ და ჩანაწერების გავრცელებას ასეთი სისტემური ხასიათი არ ექნებოდა. ფაქტია, რომ არსებობს რაღაც დიდი გეგმა, რომელიც გაწერილია თარიღებით და სამართლდამცველების აქტიურობის მიუხედავად, ეს გეგმა მაინც აგრძელებს მოქმედებას.

ეტყობა, რომ ამ ადამიანებს პოლიტიკური ინტერესი საკმარისი აქვთ, ასევე საკმარისი გარანტიები იმისა, რომ მათ ვერ მისწვდებიან. შესაბამისად, ეს არის ერთი რაღაც დიდი გეგმის ნაწილი. ასე რომ, სპონტანურობას პრაქტიკულად, გამოვრიცხავ. ეს სერიოზული პრობლემაა და არა მხოლოდ იმ პირების, რომელზეც არის ლაპარაკი, არამედ ეს სახელმწიფოებრივი პრობლემაა, რადგან სამიზნე არის მთლიანად ქართული სახელმწიფო. სამიზნე არის ქვეყნის უსაფრთხოება, მისი სტაბილური განვითრების ეჭვქვეშ დაყენება და, შესაბამისად, ეს სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხია და არა რაღაც კონკრეტული პირადი ცხოვრების თემები. მით უმეტეს, რომ ამ კონტექტში არ იგულისხმება მარტო სექსუალური თემები, არამედ იგულისხმება ამ ტიპის შანტაჟის უფრო ფართო სპექტრი.

— როდესაც კონკრეტულ ადამიანებს ემუქრებიან, რომ თუ პოლიტიკას არ ჩამოშორდებიან, მათი პირადი ცხოვრების კადრებს გამოაქვეყნებენ, ეს არის შანტაჟი და პროვოკაციის ნაწილი?

— რა თქმა უნდა, ეს არის პროვოკაციის ნაწილი. რაც შეეხება ოპოზიციას, მათი თემა საინტერესო არ არის. აქ საინტერესოა ის, რომ მუქარა მიმართულია სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებისკენ. რადგან საფრთხე რეალურია, რომ შეიძლება ეს, ჩემი აზრით, კადრები მართლაც გამოქვეყნდეს, ეს უკვე არის საინფორმაციო ტერორიზმი. საქმეს ასეთი კვალიფიცირება უნდა მიეცეს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალოდ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებასთან, არამედ საინფორმაციო ტერორიზმთან, რაც არა კონკრეტულად ამ ადამიანებს, არამედ ქვეყანას უქმნის პრობლემებს.

თუ საუბარია მაღალი თანამდებობის პირებზე, ეს ადამიანები თავის თავში თვითონ უნდა ჩამოყალიბდნენ. თუ მზად არიან გაუძლონ შანტაჟს, ასეთ შემთხვევაში მთელი საზოგადოება გვერდზე უნდა დავუდგეთ, გავამაგროთ ისინი, რომ შანტაჟს არ დაექვემდებარონ. თუ მათ საკუთარი თავის იმედი არ აქვთ, ასეთ შემთხვევაში ჯობია, მიიღონ გადაწყვეტილება და თანამდებობა დატოვონ იმიტომ, რომ ეს უკვე მარტო მათი პრობლემა არ არის, ეს არის სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემა.

— ანუ შანტაჟს უნდა დაექვემდებარონ?

— არა. თუ ისინი თავს მაგრად გრძნობენ და მიაჩნიათ, რომ ამას შეებრძოლებიან, მაშინ არ უნდა დატოვონ თანამდებობები. მარტივი ალტერნატივაა, თუ აქვთ მოლოდინი და განცდები, რომ ამას ვერ გაუძლებენ, მაშინ ჯობია მიიღონ გადაწყვეტილება. მათთან ერთად არ უნდა დაზიანდეს ქვეყანა, სახელმწიფო უსაფრთხოება. სხვა გამოსავალი არ არის. რა ვქნათ, აშანტაჟონ ისინი და ჩვენ ვუყუროთ? მაშინ ქვეყანას რა ვუყოთ?

— ვითარება საკმაოდ რთულია. ვრცელდება ინფორმაცია, რომ აღნიშნული კადრები რამდენიმე გავლენიანი უცხოელი სპეცსამსახურების ხელშია. შესაძლებელია,მათი მხრიდან კადრები უკვე ქვეყნის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული, როგორც პოლიტიკური შანტაჟის ერთ-ერთი ნაწილი?

— ზუსტად ამაში ვხედავ პრობლემას და რას გვეუბნება დღეს ხელისუფლება? — გვეუბნება, რომ ეს კადრები შეიძლება არა თუ პოლიტიკურ ოპოზიციას ჰქონდეს, არამედ ნებისმიერ ადამიანს და ასევე საუბრობენ, რაღაცა ფინანსურ ინტერესებზე. შესაბამისად, ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას, რომ ეს ყველაფერი შავ ბაზარზე იყიდება.

— ვის შეიძლება ჰქონდეს ყველაზე დიდი ინტერესი ასეთი ტიპის კომპრომატების ყიდვისა?

— რა თქმა უნდა — უცხოეთის სპეცსამსახურებს, რომლებსაც ამ ქვეყანაში სავსებით კონკრეტული ინტერესები შეიძლება ჰქონდეთ.

— უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებში რუსეთის სპეცსამსახურებს გულისხმობთ?

— უპირველესად, რუსეთის სპეცსამსახურებს ვგულისხმობ, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მარტო მათ. ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურებს შეიძლება გაუჩნდეს ინტერესი და ეს ლოგიკურიც არის — რატომაც არა?!

მთავარი პრობლემა რა არის მაშინ, როდესაც ხელისუფლება კონტროლს კარგავს პროცესებზე, მეტასტაზებივით ედება და შანტაჟის ენით იწყებს ლაპარაკს მთელი ქვეყანა?! ტოტალური უნდობლობაა ხელისუფლების მიმართ. ასევე დაუცველობის განცდა, რაც ხელისუფლებისთვის შეიძლება ძალიან სერიოზული პრობლემა გახდეს.

შესაბამისად, ამის ბენეფიციარები არიან რუსეთის სპეცსამსახურები, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მხოლოდ რუსეთის, არამედ თურქეთის, ირანის და ჩვენი დასავლელი პარტნიორების სპეცსამსახურებიც. ზეგავლენის მოხდენის ინტერესი შეიძლება გაუჩნდეს ბევრ მხარეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ვერ ჩავკეტავ მხოლოდ ამ სპეცსამსახურების ინტერესებს — ანალოგიური პოლიტიკური ინტერესი შეიძლება ჰქონდეთ ხელისუფლების შიგნით გარკვეულ ჯგუფებსაც, პოლიტიკურ ოპოზიციას, ანუ დაინტერესებული მხარე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ პოტენციურად შეიძლება იყოს ძალიან ბევრი. ვინ უფრო ეფექტიანად გამოიყენებს, ეს სხვა საკითხია.

— სადამდე შეიძლება გაგრძელდეს პროცესები?

— ეს არის სისტემური დანაშაული. თვითონ ხელისუფლება გვესაუბრებოდა წლების განმავლობაში, რომ წინა ხელისუფლება იყო ამ სისტემური დანაშაულით დაკავებული, როდესაც იღებდა, ინახავდა, აშანტაჟებდა და ამით მართავდა პოლიტიკურ პროცესებს. სისტემურ დანაშაულზე, სისტემური პასუხია გასაცემი. ხელისუფლების მხრიდან უნდა გამოჩნდეს პოლიტიკური ნება, რომ ეს დანაშაული უნდა შეწყდეს ქვეყანაში!

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ შეუძლია გამოაჩინოს პოლიტიკური ნება?

— ხელისუფლებამ უნდა თქვას, რომ დანაშაულის თანამონაწილე მარტო ის კი არ არის, ვინც ინახავს და ავრცელებს, არამედ ისიც, ვინც იღებდა, დამნაშავე იყო. დაიჭირეს ერთი ადამიანი მაინც, ვინც მუშობდა სპეცსამსახურებში და ამ უკანონო დავალებებს ასრულებდა? ვინმე დასჯილია, თუ არ იციან ვინ არიან? დიდი ალბათობით ამ ადამიანების გარკვეული ნაწილი დღესაც სპეცსამსახურებში მუშაობს.

— რა უშლის ხელს ხელისუფლებას იმაში, რომ აჩვენოს პოლიტიკური ნება?

— არ ვიცი. ეს კითხვა მთვრობას უნდა დაუსვათ. თუნდაც, ის რაც უკვე გავრცელდა, ამ დანაშაულს სამი ფიგურანტი ჰყავდა — გადამღები, შემნახავი და გამავრცელებელი. რატომ არ იჭერენ იმას, ვინც იღებდა? ხომ ზუსტად იციან, ვინ შეასრულა ეს უკანონო ბრძანება? გამოავლინონ პოლიტიკური ნება. იმ საქმეებს მოკიდონ ხელი, რაც გახმაურებული იყო. ავიღოთ იგივე ჩემი და ყოფილი პრემიერ-მინისტრის საუბარი, არ იციან, ვინ ბურღავდა ჩემს კედელს? — რა თქმა უნდა, იციან. ამიტომ გამოავლინონ პოლიტიკური ნება და მოკიდონ ამ ხალხს ხელი. მაჩვენონ რამდენიმე ადამიანი, ვინც ამ უკანონო დავალებას ასრულებდა.

დამერწმუნეთ, თუ ხელისუფლებამ პოლიტიკური ნება აჩვენა, იმ ძველი კადრების გავრცელება სახელმწიფოს უკვე ვეღარაფერს დააკლებს. ვისაც ემუქრებიან ამ კადრების გავრცელებით, იმ ხალხზე მეტად დღევანდელ პრემიერ-მინისტრს აზიანებენ. ვიმეორებ, დაიწყონ ამ ბოროტების სათავედან, რადგან იდენტიფიცირებულია ყველა ის ადამიანი, ვინც ამ დანაშაულებრივ დავალებას ასრულებდა.

სამწუხაროდ, ხელისუფლება კოჰაბიტაციაში შევიდა იმ სისტემასთან, ვინც ამ დანაშაულს სჩადიოდა. ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობას“ ემიჯნება, მაგრამ მისი სისტემა შეისრუტა. პრობლემა ხომ სისტემაში იყო და არა „ნაციონალურ მოძრაობაში“? ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილის პრობლემა ის იყო, რომ ვერ გააცნობიერა საფრთხე, რაც ამ კოჰაბიტაციას მოჰყვებოდა. ხელისუფლებას გაუჩნდა განცდა, რომ მას შეეძლო ურჩხულის მართვა. სინამდვილეში, ურჩხულის მართვა შეუძლებელია, რადგან, რაღაც მომენტიდან ურჩხული შენს მართვას იწყებს. სამწუხაროდ, ხელისუფლება ასეთი სისტემის მძევალია და ამაშია მთავარი პრობლემაც...

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

◎ ინფორმაცია

დარღვევები ბაგა-ბაღებში

თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად ბაღებში თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტები დაფიქსირდა. აუდიტის სამსახურმა ინსპექტირება რამდენიმე საბავშვო ბაგა-ბაღში ჩაატარა. მონიტორინგი 2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავდა. შემოწმდა დაფინანსების მოთხოვნის, მიღებისა და გასული ხარჯების მიზნობრიობა.

ინსპექტირების შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი დარღვევები, მათ შორის ბავშვებისთვის განკუთვნილი საკვების ზედმეტად ჩამოწერა, საკვები პროდუქტისათვის მოთხოვნილი თანხების სააგენტოსთან შეუთანხმებლად სამეურნეო ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენება და სხვა.

აუდიტის სამსახურის დასკვნაში აღნიშნულია, რომ რამდენიმე ბაღში დაფიქსირდა სააგენტოს მიერ გადარიცხული ფულადი სახსრების არამიზნობრივი და არასწორი ხარჯვა, რაც მიუთითებს ბაღის დირექტორის პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობას მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს გადაწყვეტილებით აუდიტის დასკვნის საფუძველზე რამდენიმე დირექტორი თანამდებობიდან გათავისუფლდა.

„დაიწყე კარიერა“ „სინათლის ქალაქში“

„სინათლის ქალაქში“ თბილისის მერიის სტუდენტთა სტაჟირების პროგრამის „დაიწყე კარიერა“ პირველი ეტაპი დასრულდა. პროგრამის ფარგლებში, „სინათლის ქალაქის“ დირექტორმა თორნიკე კიზირიამ სტუდენტებს თბილისის ანძაზე უმასპინძლა. სტუდენტებმა ახლებურად განათებული ანძა დაათვალიერეს და „სინათლის ქალაქის“ დირექტორისგან ადგილზე ჩატა-

რებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. თორნიკე კიზირია სტუდენტებს იმის შესახებაც ესუბრა, თუ რა სახის სამუშაოებს ეწევა დედაქალაქის სტრატეგიულ ობიექტზე „სინათლის ქალაქი“.

მისი თქმით, თბილისის მერიამ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს პრაქტიკაში გაეცნონ თუ როგორ მუშაობენ მათი პროფესიული მიმართულების მქონე ორგანიზაციები. თორნიკე კიზირიას თქმით, დაახლოებით სამი თვის მანძილზე, „სინათლის ქალაქში“ სტაჟირება 20-მდე სტუდენტმა გაიარა. მისი განმარტებით, სტუდენტები უწყების მუშაობას ყოველდღიურ რეჟიმში ადევნებდნენ თვალს და შეძლებისდაგვარად იყვნენ პროცესში ჩართული. კიზირიას განცხადებით, სტუდენტები დეტალურად გაეცნენ იმ პროექტებსაც, რომლებზეც „სინათლის ქალაქი“ ამ დროისთვის მუშაობს.

ძველი სახლების ახალი სიცოცხლე

ჩულურეთის რაიონში, ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ინიცირებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდება. მერიის ცნობით, ჩიტაიას №23-ში, წინამძღვრიშვილის №41-ში, გრემის №7-სა და ნათიშვილის №7 -ში საცხოვრებელ სახლებს გამაგრებითი სამუშაოები უტარდება, გამაგრდება სახლის საძირკველი, კედელი მოიჭიმება ლითონის ბადით. სარემონტო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 249 029 ლარს.

ჯი-ეიბ-ენი, მედიანიუსი

◎ ფუყე ამბიცია

რატომ არავინ ლაპარაკობს მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესებაზე?

ბოლო დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულმა სტუდენტურმა საპროტესტო გამოსვლებმა გააშიშვლა ბევრი პრობლემა, რომელიც არა მხოლოდ თსუ-ს, არამედ საქართველოს სხვა უმაღლესი განათლების დაწესებულებებსაც აწუხებთ. ამავე დროს, სტუდენტურ გამოსვლებში აქცენტი ძირითადად იმაზე კეთდებოდა, რომ მართვის სტრუქტურები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში არადემოკრატიულია და სტუდენტების ჩართულობას ზღუდავს; ასევე, იყო აქცენტი იმაზეც, რომ სტუდენტების ნაწილს ცხოვრება და სწავლა მძიმე სოციალურ პირობებში უწევს, რაზეც უნივერსიტეტს და სახელმწიფოს რეაქცია არა აქვს. ერთი სიტყვით, აქცენტი უფრო მეტად იყო განათლებაზე და არა მეცნიერებაზე და ეს ბუნებრივიც არის, რადგან მოთხოვნები სტუდენტების მიერ იყო დაყენებული.

განათლების თემების განხილვა ჩვენ შემდგომშიც არაერთხელ მოგვიწევს. ამ სტატიაში იმაზე მსურს ყურადღების გამახვილება, რომ ბოლო დროს სხვადასხვა მხრიდან გაჟღერებულ მოთხოვნებში ნაკლები ყურადღება ექცევა სწავლისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას.

იმით დავიწყოთ, რომ ქართულ რეალობაში განათლებასა და მეცნიერებას შორის კავშირი ყოველთვის ცხადი არ იყო. ამის მიზეზი, სულ მცირე, ის არის, რომ საბჭოთა კავშირმა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა თავის დროზე აიღეს უმაღლესი განათლების ფრანგული მოდელი (რომელიც ძირითადად მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბდა), რომელშიც სწავლება და კვლევა ერთმანეთისგან ფორმალურად განცალკევებულია (რამაც შეიძლება გააჩინოს ილუზია, რომ ისინი ერთმანეთთან კავშირში არ არის, თუმცა, თანამედროვე საფრანგეთშიც ეს დაყოფა აბსოლუტური არც ერთ შემთხვევაში არ არის). დასავლეთის დანარჩენმა ქვეყნებმა ძირითადად უნივერსიტეტის გერმანული, ე.წ. ჰუმბოლდტის მოდელი გაიზიარეს. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი იყო XIX საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი და საჯარო მოღვაწე, რომელმაც შექმნა უმაღლესი განათლების მოდელი, რომელშიც განათლება და კვლევა გაერთიანებულია. ჰუმბოლდტის მოდელი განსაკუთრებით პოპულარულია აშშ-შიც, სადაც, ფაქტობრივად, ყველა ცნობილი უნივერსიტეტი სწორედ კვლევით უნივერსიტეტს წარმოადგენს და არა სასწავლო უნივერსიტეტს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ფრანგული სისტემა იყო შემორჩენილი. მოგვიანებით, სააკაშვილის მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა დაუახლოვდა ჰუმბოლდტის მოდელს და შედარებით დაშორდა ფრანგულ მოდელს. მთავარი ცვლილება, რაც იმ პერიოდში ამ მიმართულებით განხორციელდა, იყო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებისთვის მიერთება. ამავე დროს, მეცნიერებათა ეროვნული აკადემია კვლავ დარჩა ქვეყნის მთავარ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად, რომელიც აფასებს ყველა სხვა კვლევითი ინსტიტუტის მუშაობას.

ერთი სიტყვით, ჩვენ დღეისთვის უფრო მეტად შერეული სისტემა გვაქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ან მეორე სისტემის სრულად გადმოღება თავისთავადი სიკეთე არ არის, რადგან ცვალებად გლობალიზებულ გარემოში ძნელია რომელიმე მათგანის ერთმნიშვნელოვან სიკეთეზე საუბარი. განათლების და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების სხვადასხვა კონფიგურაციების შესახებ უსასრულო დავებში გადაშვების ნაცვლად (ეს დავები, სხვათა შორის, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს განათლების სპეციალისტებსა და პოლიტიკის მგეგმავებს შორის), საჭიროა, ზოგადად, მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებაზე ვისაუბროთ.

დღეისთვის არც ერთი ქართული უნივერსიტეტი არ შედის მსოფლიო რეიტინგების არც 200-ეულში და არც 700-ეულში. ეს რეიტინგები სხვა მონაცემებთან ერთად, ასევე ზომავს უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული კვლევების გავლენას მსოფლიო მეცნიერების განვითარებაზე. თუ ამ სიაში ჩვენ პოზიციებს თანდათანობით არ გავიუმჯობესებთ, იმაზე ვერ გვეძნება პრეტენზია, რომ ჩვენი სტუდენტები მსოფლიო დონის განათლებას იღებენ.

საქართველოში მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ ქართული კვლევითი დაწესებულებების ინტერნაციონალიზებით. ეს, სამწუხაროდ, ბოლომდე გააზრებული არ აქვს ქართველ საზოგადოებას და მის ინტელექტუალურ ელიტას; ჩვენ არ ვართ საკმარისად ღია მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების შესასწავლად და მათ გაუმჯობესებაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ ჯერ კიდევ იმ ილუზიის ტყვეობაში ვიმყოფებით, რომ არაფერი გვაქვს სასწავლი მსოფლიოსგან, და რომ პირიქით, თითქოს მხოლოდ მათ უნდა ისწავლონ ჩვენგან. ამ საფუძველსმოკლებული შეხედულების ქონა ფუყე ამბიციაა და ხელს გვიშლის განვითარებაში. ყველა ქვეყანამ, რომელიც ბოლო 50 წლის მანძილზე განვითარებულ დასავლეთს დაეწია, ერთი რამ ისწავლა: **გადმოღება და გაუმჯობესება სირცხვილი და ეროვნული კულტურის თუ ღირსების დამცირება არ არის!**

დღეს კი აზრი ეკარგება განათლების რეფორმაზე საუბარს მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესების მოთხოვნის გარეშე. რაც უფრო მოკლე დროში დავიწყებთ აქცენტის გაკეთებას მეცნიერების განვითარებაზეც, მით უფრო მალე ეშველება განათლების პრობლემასაც.

გიორგი ცხადაია

◎ საპენსიო რეფორმა

ინფლაციის დონის გათვალისწინებით

ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ საქართველოში ხანდაზმულობით პენსიის ოდენობა მიმღებთა ცხოვრების სოციალურად მისაღებ დონეს არანაირად არ შეესაბამება, წლების მანძილზე როდინში წყლის ნაყვას ჰგავდა. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა რამდენიმე წლის წინათ, ნაცმოძრაობის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს დაიწყო და კოალიციური მთავრობის მმართველობის პერიოდში გაგრძელდა. ამჟამად 160-ლარიანი პენსია, რომელიც ოფიციალურ საარსებო მინიმუმის მაჩვენებელსაც კი ორჯერ და მეტად ჩამორჩება, ივლისიდან 20 ლარით გაიზრდება, თუმცა, ცხადია, არც ესაა საქმის რეალურად შველა, მაგრამ ამ ჯერზე მთავრობას მეტის გაკეთების შესაძლებლობა არა აქვს, რის შესახებ ფინანსთა სამინისტროს არაერთგზის განუცხადებია.

ამ გარემოებაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ახლო მომავალში ქვეყანაში საპენსიო სისტემის ძირეული ცვლილებები იგეგმება, რომელთა არსი ცოტა ხნის წინათ გამართულ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განმარტა.

პრემიერმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი რეფორმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით ხორციელდება, რომელშიც ასევე ყველა შესაბამისი უწყება და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტია ჩართული. მისი მთავარი მომენტი ისაა, რომ **2017 წლის ივლისიდან პენსიონერთა საბაზისო უზრუნველყოფა ყოველი წლის ინფლაციის დონის გათვალისწინებით სათანადო ინდექსაციით მოხდება, ასევე დამატებით შეიქმნება დაგროვებითი კომპონენტები.** მანამდე კი, ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე, მთავრობა საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებათა გაწერილი გეგმით იმოქმედებს.

— ესაა დამსაქმებლის, დასაქმებულისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ თანადაფინანსებით დაგროვების სისტემა, რომელიც მომავალი პენსიონერების გაცილებით შეძლებულ მომავალს უზრუნველყოფს, — განაცხადა ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა. **— ახალი სისტემა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს არსებული მინიმალური საბაზისო უზრუნველყოფის გაუქმებას, პირიქით, არსებული საპენსიო დონე დაგროვებითი სისტემის პარალელურად იმოქმედებს, ინდექსირება კი ინფლაციის კვალდაკვალ განხორციელდება.**

სავსებით ცხადია, რომ ინფლაცია და პენსიების მატება ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია, რომელიც პენსიონერთათვის სასიცოცხლოდაა მნიშვნელოვანი, ვინაიდან რეალურად არსებულ მოთხოვნებს არასდროს პასუხობს. ამიტომაცაა, რომ, არსებული გეგმის შესაბამისად, **2017 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, საბაზისო პენსიის ოდენობა ყოველწლიურად, სულ მცირე, ინფლაციის ოფიციალური წლიური მაჩვენებლისდა შესაბამისად მოიმატებს.**

— პენსიონერთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემოგვაქვს მექანიზმი, რომელიც სოციალურ პენსიას უზრუნველყოფს, — განაცხადა საკითხთან დაკავშირებით საპენსიო რეფორმის პროექტის ხელმძღვანელმა **ოთარ ძიძიკაშვილმა.** — კონცეფციის შესაბამისად, შემუშავდება ინდექსაციის მექანიზმი, რომლითაც პენსია ინფლაციის დონის მაჩვენებლის ოდენობით მოიმატებს.

მისივე, თქმით, მაშინ, როცა ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი მაღალი იქნება, იმ წელს პენსიის მატება შედარებით მეტად მოხდება, ხოლო როცა ის უმნიშვნელო იქნება, ეს მაჩვენებელი, მინიმუმ, ინფლაციის დონის შესაბამისად მოიმატებს.

რამდენად აისახება ყოველივე პენსიონერთა რეალურ ყოფაზე, ამაზე ლაპარაკი, ცხადია, მხოლოდ კონკრეტული შედეგებისდა მიხედვით იქნება შესაძლებელი.

ოთარ ტურაბელიძე

◎ საქართველო-ბელარუსი

საქართველოში ტრაქტორების ამწყობი ქარხანა აშენდება

ბელარუსული გაზეთის „ბელარუს სეგოდნია“-ში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, „საქართველოში „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორების ამწყობი მეორე საწარმოს შექმნა იგეგმება.

„ქართველმა სტუმრებმა ოფიციალური მოლაპარაკებების შემდეგ მინსკის სატრაქტორო და საავტომობილო, აგრეთვე გომელის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნების მზა პროდუქცია დაათვალიერეს. როგორც სატრაქტორო ქარხნის დირექტორმა სერგეი სიროტენკომ განაცხადა, მიმდინარე წელს საქართველოში ბელარუსული ტრაქტორების ამწყობი კიდევ ერთი საწარმო გაიხსნება ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე.

თავის მხრივ, საქართველოს ვიცე-პრემიერმა და ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, რომ ქართულ მხარე დაინტერესებულია ბელარუსთან სავაჭრო კონტაქტების გაღრმავებით: **„მიუხედავად იმისა, რომ დღეს ორი ქვეყნის ვაჭრობა მხოლოდ 40 მილიონ დოლარს აღწევს, პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს განზრახვის შესრულება მისი 200 მლნ. დოლარამდე გაზრდის თაობაზე მაინცდამაინც რთული არ არის, ამის პოტენციალი ორივე მხარეს გვაქვს — სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში...“,** — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მას კვერი დაუკრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და თქვა, რომ **„ბელარუსული ტრაქტორები ქართველი ფერმერებისათვის კარგი ტექნიკაა და მოწონებით სარგებლობს“.**

პუბლიკაციაში ასევე აღნიშნულია, რომ „ბელარუსების“ ამწყობი საწარმო საქართველოში პირველად 2011 წელს ბათუმში გაიხსნა, რომელიც წელიწადში 40-მდე ტრაქტორს უშვებს. **გასულ წელს უშუალოდ ბელარუსიდან საქართველოში 190 ათასი დოლარის ღირებულების 100 ტრაქტორის ექსპორტი განხორციელდა. ამჟამად საქართველოს ველ-მინდვრებში „ბელარუსის“ მარკის დაახლოებით 18 ათასი ტრაქტორი მუშაობს.**

მძლეობა ქართველთა

საქართველოს საბოლოო შემომტკიცება

XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის საბოლოო შემომტკიცების საკითხმა. მართალია, მტერი თითქმის მთლიანად განდევნილი იყო, მაგრამ, ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შირვანი, რანი) და სამხრეთი (სომხეთი) თურქ-სელჩუკთა ხელში იყო და საქართველოსთან მიმდებარე ყაბალა-განძა-ანისში თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო. საქართველოს უშიშროების დაცვის საქმე მოითხოვდა ომის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კავკასიის მოძმე ხალხები თვითონაც ებრძოდნენ მომხდურ თურქ-სელჩუკებს და ყოველთვის მზად იყვნენ, მხარში ამოსდგომოდნენ მებრძოლ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ამიერკავკასიის ხალხებს ერთი მოსაზრება ამოძრავებდათ – განედევნათ სელჩუკი დამპყრობლები თავიანთი მიწა-წყლიდან, რასაც ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვებოდა. გამაერთიანებლის როლში საქართველო გამოდიოდა.

ამდენად, საქართველოს სახელმწიფომ, მისმა სამეფო კარმა იკისრა მეტად დიდი და რთული ისტორიული ამოცანა, რომლის განხორციელებაც საგანგებო ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. პირველ რიგში დადგა სამხედრო რეფორმების გატარების აუცილებლობა.

* * *

საქართველოს სამეფო კარს კარგად ჰქონდა აწონილ-დაწონილი სამხედრო რეფორმების გატარების დიდი მნიშვნელობა და ისიც გეგმაზომიერად, თანდათანობით შეუდგა ამ საქმეს. უპირველესად, საჭირო იყო ლაშქრის ორგანიზაციის მოწესრიგება. გიორგი II-ის დროიდან მოკიდებული, ფაქტობრივად, მოშლილი იყო ფეოდალური ლაშქარი, დაცემული იყო დისციპლინა. დავით აღმაშენებელმა, როგორც ზემოთაც ითქვა, შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრეები და მათგან მუდმივი, ძლიერი პირადი გვარდია – მონა-სპა შექმნა. ამასთან საქართველოს მეფემ ქვეყნის ცალკეულ მხარეებში თავისი ერთგული, ღირსეული მოხელეები დანიშნა და, ბუნებრივია, მათ მიერ გამოყვანილი ლაშქარიც მეფის ერთგული იყო. დავით აღმაშენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო მოლაშქრეთა შორის დისციპლინის განმტკიცებას. მეფემ ქვეითი ჯარის დიდი ნაწილი ცხენოსანი რაზმებით შეცვალა. მის საბრძოლო არსენალში ახალი ტაქტიკური და სტრატეგიული ხერხები იყო. დავით აღმაშენებელი ფართოდ იყენებდა მზვერავებს, რომელთაც მემატიანე მსტოვრებს უწოდებს. „მსტოვარნი“ თვალ-ყურს ადევნებდნენ მტრის მოძრაობას და დროულად აცნობებდნენ ლაშქრის სარდლობას. მსტოვარი ქვეყნის მოთვალთვალის – ჯაშუშის მოვალეობასაც ასრულებდა: „არცა სამეფოსა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირეთა საქმე ქმნილი, – კეთილი გინა ბოროტი, გინა სიტყვაჲ თქმული – არა რაჲ დაეფარვოდა...“. (ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი, „ქართლის ცხოვრება“, თბ., 2008, გვ. 338-339). სამეფო ხელისუფლებამ ძლიერი საპოლიციო აპარატი შექმნა, რომელსაც სათავეში მანდატურთუხუცესი ჩაუყენა.

დავით აღმაშენებელს კარგად ჰქონდა აწყობილი სამობილიზაციო სისტემა. მუდმივ მზადყოფნაში იყო სასიგნალო კოშკები, პირდაპირი და ესტაფეტის წესით მოქმედი „ჭენებით მავალნი“, რომელთა საშუალებით წვევის წიგნები ან მეფის სიტყვიერი ბრძანება გადაიცემოდა. დიდი ყურადღება მიექცა ლაშქრის ზურგის სამსახურსაც – ლაშქრის საკვებით, სხვადასხვა საჭურვლითა და საბრძოლო ტექნიკით მომარაგებას.

დავით აღმაშენებლის დროინდელი ლაშქრისათვის დამახასიათებელია მეფისა და მონა-სპის წინა ხაზზე ბრძოლა, განსხვავებით წინანდელისაგან, როცა მეფე მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გადადიოდა წინა პლანზე.

ფაქტობრივად, დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა საფუძველი ქართული ლაშქრის იმ სტრატეგიულ და ტაქტიკურ სიახლეებს, რომელმაც დასრულებული ორიგინალური სახე XII-XIII სს. მიიღო.

შემოღებული იქნა საგანგებო სამხედრო უწყებისა და მისი ხელმძღვანელის – ამირსპასალის თანამდებობა, რამაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ლაშქრის ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის განმტკიცებაში. ნარატული და ეპიგრაფიკული წყაროების შესწავლა-შეჯერების შედეგად გაირკვა: ა) „ამირსპასალარის“ არსებობა ეპიგრაფიკული მასალით დასტურდება XII ს. პირველ მეოთხედში; ბ) დავით აღმაშენებლის თანამედროვე ივანე ლიპარიტის ძე იყო მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი; გ) ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა დავით აღმაშენებლის მეფობის გარკვეული დროიდან ორბელების ხელში იყო; დ) ორბელები ფლობდნენ ამ თანამდებობას დავით აღმაშენებლის ძის – დემეტრე I-ის მეფობაშიც. ამ დროს საქართველოს სამეფოს მანდატურთუხუცესი და ამირ-სპასალარი ჯერ ივანე, ხოლო შემდეგ სუმბატ ივანეს ძე ორბელი იყო; ე) დავით V-ის მეფობის დროს ორბელებმა დროებით დაკარგეს აღნიშნული თანამდებობანი, მაგრამ XII ს. 60-იანი წლებიდან ისევ დაიბრუნეს და შეინარჩუნეს 1178 წლამდე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 36, 41, 44, 49

როინ მეტრეველი

შვიდ სამეფოდ განწესებული



„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

როგორც ვნახეთ, დავით აღმაშენებელმა ქმედითი ღონისძიებების გატარებით დასრულებული სახით ჩამოაყალიბა საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური სამოხელეო აპარატი შესაბამისი უწყებებით, რომელთა სათავეშიც „უხუცესები“ იდგნენ. სახელმწიფოს საშინაო საქმეებს მანდატურთუხუცესი განაგებდა, სამხედრო საქმეს – ამირსპასალარი (მისი პირველი თანაშემწე ამირახორი იყო). ცალკე უწყება განაგებდა სამეფო ფინანსებს. უწყების სათავეში მეჭურჭლეთუხუცესი იდგა. როგორც ირკვევა, ეს უწყება და მეჭურჭლეთუხუცესის სახელიც XI-XII საუკუნეების მიჯნაზე ჩნდება, დავით აღმაშენებლის დროს (პირველ მეჭურჭლეთუხუცესად იხსენიება ივანე ვარდანის ძე, სვანთა ერისთავი).

დავით აღმაშენებელი გეგმაზომიერად ატარებდა ღონისძიებებს ფეოდალური ქვეყნის ცენტრალიზაციისა და სამხედრო ძლიერებისათვის. 1110 წელს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის, მისი დისწულის თევდორეს, აბულეთისა და ივანე ორბელის მოხერხებული მოქმედების შედეგად აღებულ იქნა ქ. სამშვილდე („სიმარჯჳთ მოიპარეს სამშვილდე“).

1110 წელსვე იქნა აღებული და შემოერთებული ქ. ძერნა.

1115 წელს აღებული იქნა რუსთავი.

რუსთავის დაკარგვამ დიდი პრობლემები შეუქმნა თურქ-სელჩუკებს – ისინი ველარ ბედავენ საზამთრო ადგილებზე დგომას, მით უმეტეს, რომ დავით აღმაშენებელი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა. სათანადო დაზვერვის („რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან“) შემდეგ „უგრძნეულად“ ესხმოდა თავს სელჩუკებს და მუსრს ავლებდა („და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის“).

1116 წელს, ზამთარში ტაოს ჩამოდგნენ დიდძალი თურქ-სელჩუკები, დავით აღმაშენებელმა ხერხი იხმარა („მოიდელოვნა“): ქართლის ლაშქარს მზადყოფნის საიდუმლო ბრძანება მისცა, თვითონ კი ქუთაისში წავიდა. ამით მოადუნა მტრის ყურადღება. თებერვალში მეფის ბრძანებით ქართლისა და მესხთა ლაშქარი კლარჯეთს შეიყარა. თვითონაც შიდა-სპით შეუერთდა მათ და მოულოდნელად დაესხა თავს გულდამშვიდებით მყოფ სელჩუკებს. დავით აღმაშენებლის მოლაშქრეებმა მოსრეს მტერი, „აღიღეს დედა-წული მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი“.

1117 წელს დავით აღმაშენებელმა აიღო ციხე-ქალაქი გიში და შეიპყრო ასათ და შოთა გრიგოლისძენი. გიში წუქეთის საერისთავოს ცენტრი, ამასთან ფეოდალური საგვარეულოს – გიშელების, იგივე გრიგოლის ძეთა რეზიდენცია იყო. იმავე წელს დავით აღმაშენებელმა თავისი ძე დემეტრე შირვანს გაგზავნა „სპითა ძლიერითა“ სალაშქროდ. დემეტრე დავითის ძემ, „ქმნნა ომნი საკჳრველნი, რომელთა განკჳრვნა მხილველნი და მსმენელნი“, აიღო ციხე ქალაძორი, ურიცხვი ტყვე წამოიყვანა და დიდძალი ალაფი წამოიღო. ასე ძლევამოსილი წარუდგა უფლისწული მეფეს.

1118 წელს, ადრე გაზაფხულზე, ბზობას დავით აღმაშენებელმა ნახიდურს ზატიკი (სააღდგომო ზეიმი) გადაიხადა. აქ მას მოახსენეს თურქ-სელჩუკების მიერ ჯავახეთში ბეშქენ ჯაყელის მოკვლის შესახებ. მიუხედავად დიდებულთა წინააღმდეგობისა, დავით აღმაშენებელმა სასწრაფოდ გაილაშქრა და რახსის (არაქსის) პირას მდგომ სელჩუკებს დაესხა თავს. „მოსრა სიმრავლე მათი, და წამოიღო ტყუე და ალაფი ურიცხჳ“.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1118 წელს დავით აღმაშენებლის მიერ ციხე-ქალაქ ლორის აღებას. ეს ქალაქი 1065 წლიდან კვირიკიანების დინასტიის მიერ შექმნილი ტაშირ-ზორაკერტის სამეფოს ცენტრი გახდა. ლორე მდებარეობდა მაღალ სამკუთხა პლატოზე. ორი მხრით ხეობები იცავდა, მესამე მხრით – ციხესიმაგრეთა კედლების სისტემა. დავით აღმაშენებელმა ლორე თავისი მიმდებარე ტერიტორიით საქართველოს შემოუერთა და განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელობის გამო ამირსპასალართა რეზიდენციად აქცია.

დავით აღმაშენებელმა 1118 წლის ივლისში ერთ დღეში აიღო აგარანი. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ მოგვაგონებს, რომ იმავე აგარანის აღებას დავითის პაპა ბაგრატი სამ თვეს მოუნდა.

პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ზეაღმავალი საქართველოსათვის, რომლის საშინაო და საგარეო გეგმები სულ უფრო მზარდი და მრავლისმომცველი იყო, აუცილებელი იყო ლაშქრის გამრავლებისათვის ქმედითი, გონივრული ზრუნვა. სახელმწიფოსა და მისი მეფის მიერ დასახული დიდი ამოცანების გადასაწყვეტად საკმარისი არ იყო ის ღონისძიებები, რომელიც დავით აღმაშენებელმა თავისი მეფობის პირველ ეტაპზე სამხედრო საქმის ორგანიზაციის მიზნით გაატარა. ლაშქრის სიმრავლე განსაკუთრებით საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ზედიზედ აიღო მრავალი ციხე-ქალაქი. რა თქმა უნდა, გამუდმებულმა ბრძოლებმა ქართული ლაშქარი დაღალა და რიცხობრივად შეამცირა. ამასთან, მოპოვებული გამარჯვებების განმტკიცების მიზნით ლაშქრის ერთი ნაწილი „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად“ იქნა განწესებული.

ამოცანა მნიშვნელოვანი იყო – ლაშქარი ისე უნდა გამრავლებულიყო, რომ ქვეყნის ზეაღმავალი ეკონომიკის განვითარება არ შეფერხებულიყო, ე.ი. მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მასა არ უნდა მოწყვეტილიყო თავისი ძირითადი სამუშაოდან. საქართველოს სამეფო კარმა ლაშქრის გამრავლება არაქართული წარმოშობის მოლაშქრეთა ჩამოსახლების გზით გადაწყვიტა. არჩევანი ყივჩაყებზე შეჩერდა.

ყივჩაყები კავკასიონის ჩრდილოეთით, მდ. დონიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდე ცხოვრობდნენ. ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იყვნენ. ამასთან კარგი მოლაშქრენი, ნების დამყოლნი და უპრეტენზიონი იყვნენ. დავით აღმაშენებელს ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი და კარგად „უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თჳსისა“.

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ყივჩაყები კიევის დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახის მიერ გამოდევნილი იყვნენ რუსეთიდან.

არსებობს ცნობა იმის თაობაზე, რომ დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთა ჩამოსახლების საკითხი, მას შემდეგ რაც თვით ყივჩაყთაგან მიიღო თანხმობა, შეათანხმა ვლადიმერ მონომახთან. დავით აღმაშენებელი თავად გაემგზავრა ოსეთს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან ერთად. მას ოსეთის მეფე-მთავრები მიეგებნენ და „ვითარცა მონანი დადგნენ მის წინაშე“. დავითმა დარიალის უღელტეხილი დაიკავა, მძევლები ჩამოართვა ოსებსა და ყივჩაყებს და ამგვარად შექმნა „გზა მშვიდობისა – ყივჩაყთათვის“.

„გზა მშვიდობისა“, რა თქმა უნდა, მხოლოდ ყივჩაყთა ლაშქრის გადმოსაყვანად არ სჭირდებოდა დავითს. ასეთი პირობა საჭირო იყო და აუცილებელი იმ მნიშვნელოვანი კულტურული ურთიერთობისათვის, როგორც საქართველოსა და სამხრეთ კავკასიისა თუ „ჩრდილობს“ ქვეყნებს შორის არსებობდა იმ დროს. დავითის ეს საქმიანობა – დარიალის კარის ხელში აღება – იყო არა თავდაცვის აქტი ჩრდილოეთიდან მოწოლილ მომთაბარეთა შემოსევის წინააღმდეგ, არამედ ღონისძიება, რომელიც კავკასიის მთიანეთსა და ამიერკავკასიის ხალხებზე გავლენის გაზრდას ემსახურებოდა. ეს ერთი ტეხილი იყო დარიალის გზის ისტორიაში... გზის ეს მშენებლობა იმ დროის საქმეა, როცა საქართველოში (ეს ადგილი სულ ისტორიული საქართველოსი იყო) „კლდე-კარებსა“ და „გზაჭრილებს“ აკეთებდნენ, როცა დარიალით კარებს კი არ კეტავდნენ, არამედ ფართოდ აღებდნენ.

ყივჩაყები გადმოყვანილი იქნენ საქართველოში. დავით აღმაშენებელმა, მისივე ისტორიკოსის ცნობით, „ყივჩაყნი დააყენა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“. ე.ი. დავით აღმაშენებელმა საქართველოში გადმოიყვანა ყივჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ ასახელებს ადგილს, რომელზეც ყივჩაყები დასახლდნენ, ისე კი ამბობს, „ადგილთა მათ მარჯუეთა“ დააყენაო დავით აღმაშენებელმა. საფუძვლიანი უნდა იყოს ვარაუდი, რომ ყივჩა-

ყების დასასახლებლად გამოყენებული იყო უმთავრესად ის ადგილები, რომლებიც ჯერ არაბთა, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა მძლავრობის დროს დაცარიელდა. ყივჩაყთა სწრაფი გაქრისტიანება და მათი შერწყმა ადგილობრივ (ქართულ) მოსახლეობასთან საქართველოს სამეფო კარის ინტერესებში იყო. დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები რაზმებად დაყო და დაუნიშნა სპასალარები, ამასთან უზრუნველჰყო ისინი საჭურვლითა და ცხენებით. ყივჩაყები მალე გაქრისტიანდნენ: „უმრავლესი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითიდღე, და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდეს ქრისტესა“.

ყივჩაყთა თითოეული ოჯახის ფეოდალური ვალდებულება იყო თითო მოლაშქრე მუდმივად მიეცა ქვეყნისათვის. ყივჩაყებს მიეცათ მიწა და უშუალოდ ჩაებნენ ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში. მათი განსხვავება ქართველი გლეხისაგან სახელმწიფოსადმი ვალდებულება-დამოკიდებულებაში უნდა გამოხატულიყო. სხვა მხრივ კი ყივჩაყი მოსახლეობა, როგორც ჩანს, თავისუფალი იყო.



ყივჩაყთა გადმოყვანისათვის ქმედითი ღონისძიების გატარება დავით აღმაშენებელმა 1118 წლის მეორე ნახევარში დაიწყო (ლორისა და აგარანის აღების შემდეგ) და უნდა ვიფიქროთ, რომ 1119 წელს მთლიანად მოაგვარა ეს საქმე (დაასრულა ყივჩაყთა ჩამოსახლება). იმავე 1119 წელს ჩაატარა ძირითადი საწვრთნელი სამუშაო („ჟამიერად და წესიერად ალაშქრებდა მათ“).

ამგვარად, 1118-1119 წლებში ძირითადად გადაწყდა მუდმივი ლაშქრის გაძლიერების პრობლემა. ამ ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ყივჩაყები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით ისინი ორმოცი ათასი იყვნენ. მათ გარდა მუდმივ ლაშქარში, როგორც დასტურდება, ქართველებიც იყვნენ. ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბატონიშვილის მტკიცებით, დავით აღმაშენებელს ჰყავდა სამოცი ათასიანი მუდმივი ლაშქარი. აქედან თუკი ორმოცი ათასი ყივჩაყი იყო, ბუნებრივია, დანარჩენი ოცი ათასი ქართველი იქნებოდა. ვახუშტი ამ ლაშქარს „მარადის მცველს“ უწოდებს, იოანე ბატონიშვილი კი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელს „ყოველთვის მზად ჰყვა როჭიკით სამოცი ათასი მხედარი კაცი“.

ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებელმა მუდმივი ლაშქრის წევრებს წინანდელთან შედარებით განსხვავებული „პატივი“ მიაგო (ვახუშტი ბაგრატიონი). როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელი ლაშქარს „როჭიკით“ (კვება, ჯამაგირი) ინახავდა. მან აკრძალა ომების დროს წამოღებული ნადავლის მოლაშქრეთა შორის განაწილება („არღარა განიყოფოდა საჭურჭლე სპათა ზედა“).

როგორც ირკვევა, დავით აღმაშენებელმა საგანგებო გადასახადიც შემოიღო – საყივჩაყო, რომელსაც შესაბამისი მოხელეები მესაყივჩაყეები კრებდნენ.

ყივჩაყი მოლაშქრეები დავით აღმაშენებლის შემდგომ პერიოდშიც გვხვდება საქართველოში, მაგრამ, განსხვავებით დავითის დროინდელი ყივჩაყებისაგან (რომლებიც მუდმივად ჩამოსახლდნენ საქართველოში, ფეოდალურ უღელში შეებნენ. ამასთან მუდმივი ლაშქრის მნიშვნელოვანი ბაზაც შექმნეს), შემდეგდროინდელნი, როგორც მართებულად მიუთითებდა ივ.ჯავახიშვილი, დაქირავებულნი არიან და არა მუდმივმოლაშქრენი. მართლაც ასეთებია გიორგი მესამის დროს „ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან“ (ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე), თამარის დროს „ყივჩაყნი ახალნი“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) და ა.შ.

ყივჩაყების როლი მუდმივ ლაშქარში, რასაკვირველია, დიდია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებელს ისინი არასოდეს ჰყოლია ძირითად დასაყრდენ ძალად.

უპირველესად, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დავით აღმაშენებელი ფეოდალი მეფე იყო და საერთოდ ყველა დიდგვაროვან ფეოდალს კი არ ებრძოდა, არამედ მხოლოდ თავის მოწინააღმდეგეებს (ასეთნი დიდებულთა შორის, ბუნებრივია, უმცირესობა იყო). ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რეაქციონერ დიდებულებთან (აბულეთისძეები, ბაღვაშები) და ქვეყნის შიგნით მყოფ თურქ-სელჩუკებთან ბრძოლა დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთა ჩამოსახლებამდე ბევრად უფრო ადრე დაამთავრა. 1118-1119 წლებში საქართველოს სამეფო კარის წინაშე სხვა, იმ დროისათვის უფრო არსებითი პრობლემები იდგა. საქართველოს სამეფო კარისა და მისი მეფის წარმატებები იმ ქმედითი ღონისძიებებით იყო განპირობებული, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში გატარდა.

ანონსი

მომავალ ხუთშაბათს: დიდგორის ბრძოლა

კავკასიონიდან მშვენიერი სტრიქონებით დაპყრობილი სივრცე...

„ქართული ლირიკის ანთოლოგია“ გერმანულ ენაზე

ახლადგამოცემული წიგნი, რომელსაც ჰქვია „მე კვლავ მსურს კავკასიონთან“... და რომლის შესახებაც მინდოდა, ორიოდ სიტყვა მეთქვა, წარმოადგენს ქართული ლირიკის ანთოლოგიას, ქართული პოეზიის ნიმუშთა კრებულს გერმანულ ენაზე, რომელიც გერმანიაში, ლუდვიგსბურგშია გამოცემული. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საუბარი გვექნება ქართულიდან გერმანულ თარგმანზე. ამ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ეს ენა დაჩაგრულ პირობებში იმყოფება და ამის ფონზე ორმაგად სასიხარულო და საამოვნოა ასეთი კრებულების ხილვა. თარგმანები გერმანულ ენაზე უფრო და უფრო მრავლდება (განსაკუთრებით კი, პოეზიისა) და ზუსტად ეს არის ჩემთვის, როგორც გერმანისტისთვის და მთარგმნელისთვის მნიშვნელოვანი. წიგნის შიგთავსს – ქართულ ლირიკას გერმანულ ენაზე – წინ უძღვის წინასიტყვაობა და შესავალი, რასაც აქ მე უფრო დეტალურად შევეხები, ვიდრე თარგმანს.

წიგნის მხატვრული აგებულება ანუ, ამ შემთხვევაში, ყდის დიზაინი „აისი კავკასიონზე“ დიდებულია და აღვიძებს განცდას, მოლოდინს რაღაც ამაღლებულის, ზებუნებრივის მიმართ, გასაოცრად ახლის მიმართ, როგორიც თავად კავკასიონია. თითქო მოცემული ლირიკის გაცნობით ჩვენ, მართლაც და, მივიწევთ მაღლა, რათა დავიპყროთ სივრცე ამ მშვენიერი სტრიქონებით, და ასეც ხდება, ჩვენ კავკასიონზე ვიმყოფებით და ვტკბებით...კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს გრძნობა წიგნის შეხედვისთანავე გვიპყრობს, ეს ესაა, უნდა მივუახლოვდეთ დაფარულს, დამალულს, საიდუმლოს და ხელში ჩავიგდოთ რაღაც ზებუნებრივი, ხელუხლები. ეს არაჩვეულებრივია... დიდებულია..., თუმცა სიმაღლეს ვერ ვინარჩუნებთ, შეგრძნებები უფერულდება, გრძნობა ნელდება და ისევ ჩვეულებრივ განწყობას ვუბრუნდებით, მანამ, სანამ ისევ ლირიკის კითხვას არ შევუდგებით. რატომ არ ხდება ამაღლებული, ლირიული განწყობის შენარჩუნება?



უდავოა, საქართველოს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ავტორზე, რადგან იგი დიდი მონდომებით განაგრძობს მასზე საუბარს. შესავალში ავტორი ეხება მრავალფეროვან თემებს: საუბრობს მითოლოგიაზე, პრეისტორიულ მოვლენებზე, ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშებზე, საქართველოს მტრებზე (ძველ, მე-20 საუკუნის და 21-ე საუკუნის), ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მე-20 საუკუნის საქართველოზე, მოყვანილი აქვს საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდი ქომაგის, მოტრფიალის ჰაინც ფენრიხის ციტატები ქართული ლიტერატურის შესახებ, საქართველოს ძველი და ამჟამინდელი დედაქალაქის ისტორიაზე, მე-2 მსოფლიო ომზე, რაშიც საქართველო „ძალდატანებით (არანებაყოფლობით) იქნა ჩათრეული“. ამ ყველა თემის ირგვლივ საუბარი და პოზიციის გამოხატვა თავისუფლად შეიძლებოდა ცალკე წიგნად გამოცემულ ნაშრომში, ხოლო აქ ლაღი, მღერადი და ჟღერადი, პოეტური, ფარფატა და გრძნობების ამშლელი, სულის ამაფორიაქებელი შესავალი მოუხდებოდა, ისეთი, როგორც თავად ქართველ კლასიკოსთა სტრიქონებია, მსუბუქი, შთამაგონებელი. შესავალი, რომელიც წამიერად დაიპყრობდა ნებისმიერი ადამიანის (ქართველისა თუ უცხოელის) გულს და გონებას და შეაყვარებდა მას ამ ჯადოსნურ პოეზიას, შეუნარჩუნებდა ყდის მხატვრობით მიღებულ ზეამაღლებულ შთაბეჭდილებას, აღუძრავდა სურვილს არა მხოლოდ ამ წიგნის შიგთავსს გაცნობოდა, არამედ ქართულ ლიტერატურასაც მთლიანად. და ეს ყველაფერი შეუნარჩუნებდა მკითხველს ლირიულ განწყობას, წიგნის ბოლომდე დარჩებოდა იგი კავკასიონის მწვერვალზე და მთელი ცხოვრება გაჰყვებოდა ეს ამაღელვებელი გრძნობა.

წიგნის შესავალში ავტორი თავიდანვე ეხება საქართველოს და ამბობს: **„მითიური მხარე“, „ქვეყანა ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით“** ამის და მრავალი სხვა ღირსების გამო იზიდავდა იგი უცხოელებს. ამ სიტყვებში იგრძნობა უდიდესი სიყვარული ჩვენი ქვეყნისა და ხალხისადმი. ქართული ენაც შთამბეჭდავი, კომპლექსური და ექსპრესიულიაო... და მოყვანილია ციტატა ბორის პასტერნაკის წერილებიდან საქართველოზე. გრძნობები, ულევი გრძნობები... მხოლოდ ჯადოსნურ ლექსს რომ დაგაწერინებს. აღფრთოვანება, გაოცება, მოჯადოება – თითოეულ მათგანში კი უძირო სიღრმეები... მკითხველი ავტორის აღფრთოვანებას გრძნობს, ეს აღფრთოვანება დევს ზუსტად თარგმანებში. თითოეული ლექსის თარგმანი უზადოა, ვამბობ, თარგმანი უზადოა, აუცილებლად მოიხიბლება უცხოელი მკითხველი ჩვენი დიდებული, საუკუნეების მიერ დაგროვებული შეუდარებელი ნიმუშებით - პოეზიის საგანძურით. მაგრამ, თანამედროვე პოეზიაში მრავალი ისეთი მარგალიტია, რომელთა მოხვედრა ამ წიგნში უფრო ნათლად დაანახვებდა უცხოელ მკითხველს ქართული პოეზიის ღირსებას. აქ თანამედროვე ავტორთა შერჩევაც უფრო დახვეწილი შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენ ხომ მრავალი ჭეშმარიტი თანამედროვე პოეტი გვყავს!

განსაკუთრებით საინტერესოა, როცა ავტორი სვამს კითხვას: **„როგორ გაუძლო ერმა საუკუნეებს?“,** მოგვიანებით კი თავად პასუხობს კითხვაზე: **„...რომ არა მათი უძველესი კულტურა, რომ არა ბუნების, კულტურის, დამწერლობისა და ენის ამოუცნობი ხასიათი, რომ არა მათი პოეზიის მოგიზგიზე ცეცხლი...“** ასე ზუსტად შეუცვნია ავტორს ყველაფერი ქართული, ეს დიდად საამაყოა. თუმცა, აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველთა ცხოვრებაში – სარწმუნოება, რომელიც უძველესი დროიდან ერთგულების, სიმამაცისა და უდიდესი სიძლიერის საყრდენს წარმოადგენდა. ზუსტად სარწმუნოება და ღრმა რწმენა არის ის „ამოუცნობი“, რაც ქართველის ხასიათშია დავანებული.

ავტორს სამართლიანად მიაჩნია ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის ნაწილად, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურა, და განსაკუთრებით, პოეზია „უსამართლოდ უცნობიაო“ (ჰაინც ფენრიხი). ეს საკითხი, ჩემი აზრით, დღესაც მსჯელობის საგანია.

წიგნში წარმოდგენილია თარგმანის ნიმუშები: იოანე ზოსიმე, ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, რომანტიკოსები, მე-20 საუკუნის კლასიკოსები და თანამედროვე ავტორები. მე აქ ვეცადე თანმიმდევრობა დამეცვა, თუმცა, წიგნში მოცემულია თერთმეტი საუკუნის პოეზია თემატურად დალაგებული (როგორც აღნიშნულია შესავალში) თუ არეული (როგორც მე დავინახე და როგორც შეიძლება შეფასდეს). თერთმეტი საუკუნის პოეზიის თემატურად დალაგება, ჩემი აზრით, არევას ნიშნავს, სადაც თავისთავად იშლება ეპოქალური ზღვრები, ისადგურებს უწესრიგობა და მკითხველისთვის რთულია მთლიანი სურათის დანახვა.

ლექსი თავად თავისუფლება და უსაზღვრობაა, რომელიც იბრძვის წარმავლობასთან, ცდილობს დროის უკვდავყოფას და ამ დროის სივრცეში ყველაზე მნიშვნელოვანის მოქცევას. აქედან გამომდინარე, ქართული პოეზია, როგორც თავისთავად არსებული საგანძური ნიმუშების შერჩევა-გადარჩევასაც, საბედნიეროდ, თავად მართავს, თუ არ დაამკვიდრებს ე.ი. არ არის განძი და, რაც არ უნდა ვეცადოთ, ნიმუშიც განწირულია დავიწყებისთვის. ამიტომ, ტყუილად ნუ ვეცდებით, მწვერვალზე ავიტანოთ უგვანო „განძი“.

შოთაა ბიძგი ჩვენი პოეტური საგანძურისა, შოთა მთელი ეპოქაა, რომელიც ცალკე დგას, ბრწყინავს თავისი დიდებულებით, მან შვა მეფე-პოეტები, მან შვა ვაჟა და გალაკტიონი და დიდი პოეტური მე-20 საუკუნე. ეპოქა სრულყოფილების ჩარჩოა თოთოეული პოეტისთვის და ასევე განსაკუთრებით და გამოკვეთილად, ეპოქალური დაყოფით, თანამიმდევრობით, ქრონოლოგიით მისატანია მკითხველამდე. თანაც, ასეთი მიდგომა მეტად მარტივად აღსაქმელს გახდიდა ჩვენს, არცთუ ისე მარტივ ლიტერატურას. აღრევა დაუშვებელია. ამ წიგნის წყობა, თანმიმდევრობა – შოთასთან, ვაჟასთან და გალაკტიონთან უზუსტობითა და უხეშად შერჩეულ-შერეული თანამედროვეობა აუფერულებს პოეტურ დიად ეპოქებს და ემსგავსება ფიროსმანს ჩარჩოს გარეშე. თემატური აგების ხერხით ხდება ეპოქათა ერთმანეთში დაუნდობლად აღრევა, ისე, რომ უცხოელი კი არა, თავად ქართველს აერევა თავგზა. ქართულ ლიტერატურაში, სადაც ყველაფერს თავისი ღირსეული, გამოკვეთილი ადგილი უკავია, რატომ არის საჭირო რაიმეს გადაადგილება „საზღვრებგარეშე“ სივრცეში, რაიმესთვის ახალი ადგილის მიჩენა ანდა გაურკვეველი „თავისუფლების“ მორევში გადაგდება? ყოველგვარი ცვლილება და ახალი იდეა მაშინაა კარგი, თუკი ის უკეთესობისკენაა მიმართული.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეს წიგნი უდავოდ ასრულებს დადებით როლს ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში, უფრო მეტად სასიხარულოა, რომ ეს პოეზიას ეხება.

ნინო მჭედლიშვილი,
მთარგმნელი, პუბლიცისტი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რიჩარდ მაილსი:

საკაშვილის გუბერნატორობა ჩემთვის დღემდე უცნაურია!

„ამერიკის ხმა“ საქართველოში ამერიკის ყოფილ სრულუფლებიან ელჩს ესაუბრა. გთავაზობთ ამ საუბრის შემოკლებულ ვარიანტს

— ორი წელი გავიდა ყირიმის ანექსიიდან. სად არის დღეს უკრაინა?

— უკრაინას სირთულეები აქვს, ერთი მხრივ, რუსი სამხედროების და ნაციონალისტების გამო. მინსკის შეთანხმების მიუხედავად მათი აქტიურობა გრძელდება. უკრაინას ასევე აქვს შიდა სირთულეები. წელს იქ არჩევნები ტარდება, რასაც ჩვენ დიდი ინტერესით დავაკვირდებით.

— მაიდანის რევოლუციით, შემდეგ უშუალო კონფლიქტით და ახლა სამხედრო პილოტ — ნადია სავჩენკოს სასამართლო პროცესით, უკრაინამ დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა მიიღო. რა მოუტანა უკრაინას ამ ინტერესმა?

— კორუფციის წინააღმდეგ გაწეული ძალისხმევისთვის და კორუფციის კონტროლზე აყვანისთვის ის აღიარებას იმსახურებს.

უკრაინას დიდი ისტორია აქვს, რომლის დიდი ნაწილიც რუსეთის ისტორიასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მან ასევე მოიპოვა დამოუკიდებლობა. იმ ქვეყნების მსგავსად, რომლებმაც დამოუკიდებლობა უკანასკნელი 25-30 წლის განმავლობაში მოიპოვეს, როგორიცაა მაგალითად საქართველო და აზერბაიჯანი. უკრაინა ცდილობს, გაუმკლავდეს საკუთარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, ამის პარალელურად უკრაინას უწევს რუსეთის ფედერაციის მიერ შექმნილი უმძიმესი სირთულეების გადალახვა...

— მაიდანის რევოლუციის მთავარი ლოზუნგი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მთავრობა შეიცვალა, თუმცა, საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით მოსახლეობა ანტიკორუფციული ძალისხმევით კმაყოფილი არ არის. თქვენ როგორ აფასებთ ამ ძალისხმევას?

— კორუფცია თითქმის ყველა ქვეყანაშია. ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ კორუფციას ყველა ქვეყანაში აფასებს. მათი ანგარიშებიდან ჩანს, რომ კორუფცია არის ყველგან, არის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში. ზოგან ის ადგილობრივი მმართველობის დონეზეა, ზოგან ბიზნესების და კრიმინალების დონეზე, ხდება მოქრთამვები და ასე შემდეგ. მე არ ვამბობ, რომ ყველა ერთნაირად სუფთაა.?

კორუფცია დაბალ დონეზე უნდა იქნეს დაყვანილი, რათა ხალხს ჰქონდეს იმის რწმენა, რომ ისინი ცხოვრობენ გარემოში, სადაც პატიოსანი კონკურენციით შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის უკეთესი მომავლის შექმნა შეუძლიათ. ამ მიმართულებით ზოგიერთი ქვეყანა უფრო წარმატებულია, ვიცი რომ კორუფცია ისევ პრობლემად რჩება უკრაინაში.

— საქართველოს ყოფილი მთავრობა ამაყობდა ანტიკორუფციული პოლიტიკით. დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებთ ამას?

— ბევრ საკითხზე, მათ შორის, საგარეო პოლიტიკაზე, პრეზიდენტ სააკაშვილისგან განსხვავებული მოსაზრება მქონდა, ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ კორუფციის წინააღმდეგ გაწეული ძალისხმევისთვის და კორუფციის კონტროლზე აყვანისთვის ის აღიარებას იმსახურებს. ამ თვალსაზრისით „ვარდების რევოლუცია“ საქართველოს წინ — 21-ე საუკუნეში სვლისკენ დაეხმარა.

— ადევნებთ თვალს სააკაშვილის საქმიანობას უკრაინაში?

— ჩემი თანდასწრებით ბუშმა სააკაშვილს ორჯერ უთხრა, რომ იმის გამეორება, რაც 2004 წლის აგვისტოში მოხდა სტრატეგიული და პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა, რომელსაც შესაძლოა, რუსეთის საქართველოში შეჭრა მოჰყოლოდა. გულწრფელად გითხრათ, თვალს ვადევნებ უფრო გართობისთვის. უცნაურად მეჩვენება როცა დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტი სხვა ქვეყნის გუბერნატორი ხდება, რაც არ უნდა მნიშნელოვანი მხარე იყოს ის. ოდესა არის მნიშვნელოვანი ადგილი. უბრალოდ მე ეს უცნაურად მეჩვენება. ვიცი რომ პრეზიდენტი სააკაშვილი უკრაინულად საუბრობს, განათლება უკრაინაში აქვს მიღებული, არსებობს მიზეზები რატომაც არის ახლა იქ, მაგრამ ჩემთვის ეს უცნაურია.

— თქვენ ახსენეთ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან საგარეო პოლიტიკაზე ვერ თანხმდებოდით. კრიტიკოსები მას ხშირად ადანაშაულებდნენ 2008 წელს რუსეთის პროვოცირებაში. გავიდა 6 წელი და რუსეთი უკრაინაშიც შეიჭრა. ასუსტებს თუ არა ეს არგუმენტს მის წინააღმდეგ?

— 2004 წლის აგვისტოში, პრეზიდენტ სააკაშვილის ლიდერობით, ქართულმა არმიამ სამხრეთ ოსეთის აღება სცადა. ეს ოპერაცია კარგად არ წარიმართა და ჯარმა მალევე უკან დაიხია, ამას ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა. 2005 წლის მაისში, თბილისში, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტის მთავარი მიზანი მსგავსი შემთხვევის მომავალში თავიდან აცილება იყო... ჩემი თანდასწრებით ბუშმა სააკაშვილს მართლა ორჯერ უთხრა, რომ იმის გამეორება, რაც 2004 წლის აგვისტოში მოხდა სტრატეგიული და პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა, რომელსაც შესაძლოა, რუსეთის საქართველოში შეჭრა მოჰყოლოდა. ამან პრეზიდენტი სააკაშვილი გარკვეული პერიოდით შეაჩერა. მაგრამ მას და მისი მთავრობის წევრებს ყოველთვის სურდათ სამხრეთ ოსეთის შემოერთება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მე სრულად ვეთანხმები ჰაიდი ტალიავინის მიერ მომზადებულ ანგარიშს. ყველამ, ვისაც კიდევ აქვს კითხვები აგვისტოს ომზე, ეს ანგარიში უნდა წაიკითხოს. ის ბრალს დებს როგორც რუსულ, ასევე ქართულ მხარეს, და ნაწილობრივ, ოსურ მხარესაც. რაც 2008 წელს ვნახეთ, საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის სრული კატასტროფა იყო. ამან კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების შანსები შეამცირა.

მე სრულად ვეთანხმები ჰაიდი ტალიავინის მიერ მომზადებულ ანგარიშს. ყველამ, ვისაც კიდევ აქვს კითხვები აგვისტოს ომზე, ეს ანგარიში უნდა წაიკითხოს. ის ბრალს დებს როგორც რუსულ, ასევე ქართულ მხარეს, და ნაწილობრივ, ოსურ მხარესაც. რაც 2008 წელს ვნახეთ, საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის სრული კატასტროფა იყო. ამან კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების შანსები შეამცირა.

— ხელისუფლებაში მოსვლისას „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი მესიჯი რუსეთთან ურთიერთობების დალაგება იყო. როგორ თავსდება ეს საქართველოს დასავლურ მისწრაფებებთან, როცა საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია?

— დღეს ეს უფრო რთულია, ვიდრე 2008 წლამდე იქნებოდა. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლება საქართველოს რუსეთთან კარგი ურთიერთობები ჰქონდეს, განსაკუთრებით ეკონომიკაში. რუსული ბუნებრივი აირი ისევ გადის საქართველოს ტერიტორიას სომხეთში ჩასასვლელად, ქართული პროდუქცია ისევ იყიდება რუსულ ბაზარზე, ეკონომიკური თვალსაზრისით ვითარება ამაზე რთულიც ყოფილა. საქართველოს მთავრობამ ამ მხრივ ძალისხმევა გასწია, საქართველოს უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობები რუსეთთან.

— არსებობს მოსაზრება, რომ 2008 წელს დასავლეთის რეაქციამ რუსეთი უფრო გააძლიერა და სამომავლო აგრესიისკენ წაახალისა. ეთანხმებით ამ შეფასებას?

— დარწმუნებული ვარ ქართველი ხალხის დიდ ნაწილს და საქართველოს მთავრობას ერჩივნა ჩვენ უფრო მკაცრი ზომები მიგვეღო, მაგრამ ეს არასდროს განიხილებოდა. ჩვენ არ გვითქვამს, რომ რუსეთის სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში მკაცრ ნაბიჯებს გადავდგამდით. ეს ასე არ ყოფილა. მე მესმის ქართველების დიდი ნაწილის იმედგაცრუება იმით, რომ შეერთებული შტატები ან საქართველოს სხვა მეგობრები და მოკავშირეები სამხედრო მეთოდებით არ ჩაერთნენ. რუსეთის მიერ საქართველოში ინტერვენციამ რუსეთის ფედერაციის გავლენა გაზარდა. ამან აჩვენა, რომ რუსეთს აქვს პოლიტიკური მზადყოფნა, თავისი საზღვრების მახლობლად სამხედრო ძალა გამოიყენოს.

„ამერიკის ხმა“

დედამიწის ზურგზე

პრესა განიხილავს ობამას უხერხულ ჟესტს, რომელსაც კასტროს არ მისცა ნება, მისთვის მხარზე დაეკრა ხელი

დაბეჭდილ კადრებზე მოსჩანს, რომ ბარაკ ობამა შეეცადა, რაულ კასტროსთვის მხარზე დაეკრა ხელი, მაგრამ ის ამის წინააღმდეგ წავიდა, დაიჭირა ეს ხელი. მეორე ვერსიით კუბის ლიდერმა ობამას ხელი ასწია, რათა მას ეჩვენებინა მუშტი — კუბის რევოლუციის ერთ-ერთი სიმბოლო, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ხელისგული გაშლილი დატოვა.

ამერიკაში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას დაუბრუნეს წიგნი, რომელიც თითქმის 50 წლის წინათ წაიღეს

სასწავლებლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ წიგნი „ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია“ ბოდიშის მოხდით გამოაგზავნა მათმა ყოფილმა სტუდენტმა, რომელმაც წიგნი ბიბლიოთეკიდან 1967 წელს წაიღო. უნივერსიტეტმა არ დაიწყო მისთვის ჯარიმის გადახდევინება დაყოვნებისათვის, რაც შეადგენდა დაახლოებით 350 დოლარს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა დაიმუქრა „შურისძიების ომით“ აშშ და სამხრეთელი მეზობლის ერთობლივი სწავლების პასუხად

ჩრდილოეთი კორეის გაერთიანების კომიტეტის განცხადებაში საუბარია მისწრაფებაზე, გააჩაღონ შურისძიების ომი შეერთებული შტატებისა და სამხრეთი კორეის პრეზიდენტის თანამზრახველების გასანადგურებლად. ასეთი რეაგირება მოახდინა კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთი კორეის ერთობლივ მანევრებზე.

ამერიკელი მოზარდი, რომელმაც გადაიტანა ტერორისტული აქტები ბოსტონსა და პარიზში, შეტევის დროს ბრიუსელში დაზარალდა

აფეთქებებმა ამერიკელსა და მის ორ ამხანაგს მისიონერების რიცხვიდან მიუსწრო ბრიუსელის აეროპორტში. 19 წლის მეისონ უელსი, რომლისთვისაც ბელგიის დედაქალაქში ეს გახდა მესამე გადატანილი ტერორისტული აქტი, მიიყვანეს საავადმყოფოში გაწყვეტილი აქილევსის მყესით, შრაპნელის ჭრილობითა და მესამე ხარისხის დამწვრობით სახესა და ხელებზე.

ტერორისტების გადამყვანი ტაქსისტი დაესმარა, მოენახათ აუფეთქებელი ბომბები ბრიუსელში

ტაქსისტი დაუკავშირდა სამართალდაცვის ორგანოებს ტერორისტული აქტიდან რამდენიმე საათის შემდეგ. მან ისაუბრა, რომ საეჭვო კლიენტები მიიყვანა აეროპორტამდე. ისინი ითხოვდნენ ჩაეტვირთათ მანქანაში უფრო მეტი ჩანთა, ვიდრე ამას საბარგო განყოფილება იტევდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იემენში „ალ-ყაიდის“ ბანაკში „ათობით ტერორისტი“ გაანადგურა

დანგრეული ბანაკი მდებარეობს მთებში, იქ 70-ზე მეტი ტერორისტი იმყოფებოდა. „ჩვენ კვლავ ვიკვლევთ, თუ როგორია ამ ოპერაციის შედეგები, თუმცა, ჩვენი წინასწარი შეფასებებით, ათობით ბოევიკი უკვე ვეღარ დაბრუნდება ბრძოლის ველზე“, — განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა.

◎ კარგი ამბები

ყატარიდან ტუროპერატორები და ჟურნალისტები გვეწვევიან

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახალი ბაზრების ასათვისებლად სპარსეთის ყურის რეგიონიდან პრეს და ინფო ტურებს აგრძელებს. ადმინისტრაციის მოწვევით ყატარიდან საქართველოს 13 წამყვანი ტუროპერატორი, 2 ჟურნალისტი („Gulf Times“ და „Al Raya“) და ავიაკომპანიის „Fly Dubai“ 2 წარმომადგენელი ესტუმრა. ტურის მონაწილეებმა მოინახულეს თბილისის ისტორიული უბნები, იმყოფებოდნენ გუდაურსა და ყაზბეგში. ძველ თბილისში ტურის მონაწილეებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ უმასპინძლა. ტურისტული კომპანიებისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოს ისტორიულ-კულტურულ პოტენციალს, მოინახულეს ტურისტული ატრაქციები, დაათვალიერეს სასტუმროები, პარტნიორობის დამყარების მიზნით შეხვდნენ კერძო სექტორის წარმომადგენლებს. მოწვეული ტუროპერატორებისთვის ავიაბილეთები უზრუნველყო ავიაკომპანია „Fly Dubai“-მ. ყატარელმა ჟურნალისტებმა ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიისთვის უკვე მოამზადეს საქართველოს შესახებ რამდენიმე სტატია როგორც ინგლისურ, ასევე არაბულ ენაზე.

ქართული ღვინო ღრუბლებში დააგემოვნეს

ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული ავიაკომპანია „Air Astana“-ს მგზავრებს თვითმფრინავის ბორტზე შესაძლებლობა ექნებათ ქართული ღვინო დააგემოვნონ. აღნიშნული აქცია „ქართული ღვინის კვირეულის“ ფარგლებში ხორციელდება, რომელიც ქ. ასტანას საერთაშორისო აეროპორტის ახლად გახსნილ ვიპ-დარბაზში მიმდინარეობს.

„ქართული ღვინის კვირეული“ ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული ავიაკომპანია „Air Astana“-ს მხარდაჭერით ერთი კვირა იმართებოდა და გუშინ დამთავრდა. ღონისძიების გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ზურაბ პატარაძემ, რომელმაც ისაუბრა საქართველოსა და ყაზახეთს შორის ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ექსპოზიცია, ქართული ღვინისა და ვაზის კულტურის თაობაზე, ისაუბრეს საქართველოში მეღვინეობის უძველესი კულტურის და ტრადიციის შესახებ, ხაზი გაესვა იუნესკოს მიერ ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული მეთოდის მსოფლიო არამატერიალური კულტურის ნიმუშად აღიარების ფაქტს. ყაზახეთში „ქართული ღვინის კვირეულის“ გამართვა მიზნად ისახავს ქართული კულტურის, ისტორიის, ტრადიციებისა და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას და ცნობადობის ამაღლებას ქართული ეროვნული წარმოების პროდუქციაზე.

„ქართული ჩაი“ წყალტუბოს სოფლებში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა „ქართული ჩაი“ ახორციელებს.

„ქართული ჩაის“ მენეჯერი ლევან უროტაძე და იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთს ესტუმრნენ და ჩაის სარეაბილიტაციო ნაკვეთები მოინახულეს. სოფელ ოფურჩხეთში პროგრამის ფარგლებში იგეგმება 50 ჰექტარი ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელება თებერვლის თვიდან დაიწყო და მისი მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია.

განცხადება

2016 წლის 13 მაისს, 14 საათზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №-141) გაიმართება კინტრიში ჰეს-ის 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ოპერირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს, კინტრიში ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ენერგოსისტემაში ჩართვის მიზნით 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №-141;
- შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“-ს ოფისში - ქ. თბილისი, ხეთაგუროვის 36, მე-2 სართული. ტელ: 2 200 036;
- „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ ადმინისტრაცია

საქმე №1/20-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 22 მარტი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ნოე იკაშვილი, სალომე შერმაზანაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 7 მარტს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ნოე იკაშვილისა და სალომე შერმაზანაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 8 ნოემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და ნოე იკაშვილს შორის დაიდო №111413931 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1200 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მსესხებლის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: PEUGEOT 307; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2002; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №VF33HRFNF82784002;

2014 წლის 8 ნოემბერს, ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა” და მეორეს მხრივ, სალომე შერმაზანაშვილს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე სალომე შერმაზანაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე სალომე შერმაზანაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე სალომე შერმაზანაშვილი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე სალომე შერმაზანაშვილს (პირადი №01017053279) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. სალომე შერმაზანაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე სალომე შერმაზანაშვილს ეცნობოს, რომ 2016 წლის 22 აპრილს 11:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ნოე იკაშვილისა და სალომე შერმაზანაშვილის მიმართ.

5. სალომე შერმაზანაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ჩოგბურთი

წარმატებული სერია გრძელდება

საძართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჩინურ გუანჯოუში 50.000-იანი ჩელენჯერტურნირი მოიგო და 90 ქულა დაიმსახურა, რითაც მსოფლიო კლასიფიკაციაში 21 საფეხურით წინ წაიწია და 117-ედან 96-ე ადგილზე აღზევდა.

ბასილაშვილმა გუანჯოუდან ჩინეთშივე ქალაქ ჟენშენში გადაინაცვლა და იქაურ 75.000-იან შეჯიბრებაში ჩაება. ჩვენებური მე-6 ნომრადაა განთესილი. გუშინ პირველ წრეში მან ხორვატი ფრანკო სკუგორი დაამარცხა — 2:6, 6:1, 6:4 და მერვედფინალში პეტერ გოიოვჩიკს (გერმანია) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა სტარტზე „უალდ ქარდით“ მოწვეული მასპინძელი ქსი ქი ჩამოიშორა გზიდან — 6:0, 6:4.

* * *

ბაძოში ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში ორი ქართველი ჩაება. თბილისელმა გიორგი ცივაძემ პირველ წრეში საქადათ აიარი (ყაზახეთი) დაამარცხა — 6:2, 7:5 და მერვედფინალში ევგენი ელისტრატოვს (რუსეთი) შეხვდება.

გიორგი ჯავახიშვილმა სტარტზე მე-4 ნომრად განთესილ ევგენი ტიურნევთან (რუსეთი) წააგო — 2:6, 1:6. წყვილებში ცივაძემ და ჯავახიშვილმა პირველი ბარიერი გადალახეს — ჯო კუპერსა (დიდი ბრიტანეთი) და პაველ მოტლის (ჩეხეთი) აჯობეს — 6:4, 6:3. მეოთხედფინალში ჩვენებურები ასპარეზობის რეიტინგფავორიტებს — რობერტო ორტეგა-ოლმედოსა (ესპანეთი) და ილია ვუჩიჩს (სერბეთი) გაუწევენ მეტოქეობას.

ლაშა დიდია

◎ ძიუდო

თბილისის გრან პრიზე 73 ქვეყანა ჩამოვა

საძართველოს დედაქალაქი 25-27 მარტს ძიუდოისტთა პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირს — თბილისის გრან პრის ზედიზედ მესამედ უმასპინძლებს. შეჯიბრება უნივერსიტეტის ქუჩაზე ახალ სპორტის სასახლეში გაიმართება.

საქართველოს ვაჟთა ნაკრების შემადგენლობაში ყველა უძლიერეს ძიუდოისტს ვიხილავთ, გუნდის ლიდერების — ავთანდილ ჭრიკიშვილისა (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანის (90 კგ) გარდა. ისინი ინდივიდუალური პროგრამით ემზადებიან და მწვრთნელებმა ამჯერად დასვენების საშუალება მისცეს.

თბილისის გრან პრიზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას 32 ძიუდოისტი (28 ვაჟი და 4 ქალი) დაიცავს, მათ შორის — ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ), ევროპის ჩემპიონები და მრავალგზის პრიზიორები — ამირან პაპინაშვილი (60 კგ), ადამ ოქრუაშვილი (+100კგ), ვერცხლის პრიზიორი ნუგზარ ტატალაშვილი (73 კგ), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში ბექა ღვინიაშვილი (100 კგ), 2015 წლის თბილისის გრან პრის გამარჯვებული ლევან მატიაშვილი (+100) და სხვები.

წინასწარი განცხადით, თბილისს მსოფლიოს 73 ქვეყნის 448 ძიუდოისტი (272 ვაჟი, 176 ქალი) ეწვევა, მათ შორის — ტიტულოვანი სპორტსმენები საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, მონღოლეთიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ბელგიიდან, ყაზახეთიდან, ჩინეთიდან, კორეიდან, ბრაზილიიდან, ამერიკიდან. გამარჯვებულები და პრიზიორები რეიტინგისთვის სოლიდურ ქულებს დაიმსახურებენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ყინულის ჰოკეი

55 წლის გადასახედიდან

შესაძლოა, გეუცხოოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ენთუზიასტთა თავდადებითა და კეთილი ადამიანების თანადგომით, საქართველოში ყინულის ჰოკეი ჯერ კიდევ ცოცხლობს. ამჟამად საქართველოს ეროვნული ნაკრები ბათუმში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე და ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში საასპარეზოდ ემზადება. ამ შეჯიბრებას 31 მარტიდან 10 აპრილამდე სტამბოლი უმასპინძლებს. მე-2 ეშელონის ერთადერთი საგზურისთვის შვიდი გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს: თურქეთი, საქართველო, ჰონკონგი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ლუქსემბურგი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და სამხრეთი აფრიკა. წინა წლებთან შედარებით ნაკრები გაძლიერდა და საპრიზო ადგილებზე გასვლას გეგმავს.

ყველაფერს კი სათავე გასული საუკუნის 60-იან წლებში დაედო: მაშინ მოკავშირე რესპუბლიკები 1962 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის პირველი სპარტაკიადისთვის ემზადებოდნენ. საქართველო სხვებს ხომ არ ჩამორჩებოდა — მოსკოვიდან ცნობილი სპეციალისტი ვალენტინ ზახაროვი მოიწვიეს და...

დანარჩენს ქართული ჰოკეის ერთ-ერთი პიონერი ნოდარ დონაძე გიამბობთ:

— თეატრალურ სასწავლებელში ვსწავლობდი, ერთ დღეს გაზეთში წავიკითხე — საქართველოს სპორტკომიტეტი ყინულის ჰოკეისტთა სექციას აყალიბებს და მსურველებმა „ლოკომოტივზე“ მოგვაკითხეთო. ეს იყო 1960 წელს. 50-მდე ახალგაზრდა შეიკრიბა სტადიონზე. ორ გუნდად გაგვყვეს, მოგვცეს ერთრიგიანი გორგოლაჭები, ჰოკიჯოხები, ბურთები. თიხისა და ასფალტისსაფარიან მოედნებზე დავიწყეთ ვარჯიში. თბილისში სამთვიანი მეცადინეობის შემდეგ პირველი შეკრება ლესელიძეში მოგვიწყვეს. თბილისის „დინამოც“ საბოლოოდ იქ ჩამოყალიბდა. 1960 წლის დეკემბერს საბჭოეთის დედაქალაქში გავემგზავრეთ, რომ ნამდვილ ყინულზე მოგვესინჯა ძალები.

მოსკოვში 21 დეკემბერს ჩავედით. ცნობილმა კომენტატორმა სინიავსკიმ რადიოთი გამოაცხადა: თბილისის „დინამო“ გვეწვია, ოღონდ არა ფეხბურთელთა, არამედ ჰოკეისტთა გუნდი და მისი ნახვა გულშემატკივრებს ხვალ 11 საათისთვის „დინამოს“ სტადიონზე შეეძლებათო. დილიდანვე უამრავი ხალხი მოაწყდა სარბიელს, ყველას აინტერესებდა, როგორი იყო ქართული ჰოკეი. ყინულს შეუჩვეველნი ციგურებზე ისედაც ძლივს ვიმაგრებდით თავს, ამდენი მაყურებლის ნახვამ კი სულ დაგვაბნია: ხან ერთმანეთს, ხან კი „ბორტს“ ვეჯახებოდით. ამ დროს ერთი ქომაგის სიტყვები მომესმა: „ოი, კაკ ანი გრუბა იგრაიუტ?!.“

— პირველ ტურნირში როდის იასპარეზეთ?

— 1961 წელს საბჭოთა კავშირის ექვსი რესპუბლიკის პირველობა გაიმართა: ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს, უკრაინასა და ბელარუს გავეჯიბრეთ. პირველი შეხვედრა ტალინში ბელარუსებთან 4:11 წავაგეთ, ქართველთგან პირველი შაიბა მე გავიტანე. უკრაინას უფრო გავუძალიანდით, თუმცა ის შეხვედრაც 2:5 დავთმეთ.

სამაგიეროდ, გამოცდილება შევიძინეთ და 1962 წელს ზამთრის სპარტაკიადაზე საქართველოს ჩასათვლელი ქულები მოვუტანეთ: სომხეთსა (11:2) და ყირგიზეთს (2:1) ვძლიეთ, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინასთან დავმარცხდით და ჯგუფში მესამე ადგილი დავიკავეთ. სპარტაკიადის შემდეგ დიდ ტურნირებში არ გვიასპარეზია. სპორტის ამ სახეობის გასავითარებლად არც ბაზა გვქონდა და არც სახსრები. უბრალოდ, ზამთრობით ბაკურიანში ვიკრიბებოდით და ყინულის ბუნებრივ საფარზე ვთამაშობდით. ეტყობა, ენთუზიაზმსაც თავისი საზღვრები აქვს. 1966 წელს ზახაროვი სამშობლოში გაემგზავრა და ქართული ჰოკეიც დაიშალა.

— მაგრამ არ ჩამქრალა, რადგან 70-იან წლებში ახალი თაობა წამოვიდა.

— 1978 წელს თბილისის სპორტის სასახლეში ყინულის ვარსკვლავთა შოუ გაიმართა. გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები საჩვენებელი გამოსვლებით წარდგნენ. ეს იყო ნამდვილი ზეიმი ყინულზე, რამაც ბიძგი მომცა, მივიწყებული სახეობა განმეახლებინა. კეთილი ადამიანების თანადგომით თბილისის 23-ე სკოლის ბაზაზე შევქმენი ჰოკეისტ ბავშვთა გუნდი „პირველი მერცხალი“.

აქაც გორგოლაჭებით დავიწყეთ ვარჯიში სკოლის ეზოში. შაბათ-კვირას რიყეზე გავდიოდით და უფრო დიდ მოედანზე ვმეცადინეობდით. ჩემი თანაგუნდელებიც მეხმარებოდნენ. საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის პირველი სპარტაკიადიდან ზუსტად 20 წლის შემდეგ „ოქროს შაიბის“ საკავშირო პირველობაში მივიღეთ მონაწილეობა. ბევრგან ვითამაშეთ, წარმატებებიც გვქონდა. თითქმის ყველა ტურნირში ჩვენი კოტე ბახუტაშვილი საუკეთესო მეკარის პრიზს იმსახურებდა. 1982 წელს ბაკურიანში „ოქროს შაიბის“ საქართველოს პირველობას დაესწრო ლეგენდარული რუსი ჰოკეისტი ანატოლი ფირსოვი, რომელსაც კოტეს თამაში მოეწონა და ქართველი ჰოკეისტი მისი რეკომენდაციით მოსკოვის არმიელთა გუნდში ჩაირიცხა, მერე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდა, რომლის შემადგენლობაშიც 1986 წელს ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

— ასე რომ, თქვენს გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია.

— ჰო, მაგრამ წვალებ-წვალებით აწყობილი საქმე გასული საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დავიწყებას მიეცა. აბა, მაშინ ჰოკეისთვის ვის ეცალა — ომი იყო და შიმშილი. თუმცა, ჩვენთან სპორტის ამ სახეობის განვითარების სურვილი ყოველთვის არსებობდა. 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე ჩემმა ყოფილმა მოსწავლეებმა — კოტე ბახუტაშვილის თანაგუნდელებმა, პატრიოტმა პიროვნებებმა — დენის დავიდოვმა და ლაშა ცაგარეიშვილმა ქართული ჰოკეის მესამე თაობას ჩაუყარეს საფუძველი. ის იყო, საერთაშორისო სარბიელზე უნდა გაეყვანათ შეგირდები, რომ ლაშა და დენისი კატასტროფაში დაიღუპნენ. საბედნიეროდ, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ლაშას და დენისის პარტიოტულ საქმეს რუდუნებით განაგრძობენ. ქართულ ჰოკეის, რომელიც 55 წლისაა, ვფიქრობთ, არსებობის უფლება აქვს...

ბატონ ნოდარს კი დღეს 80 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ!

ვაჟა დანელია

სურათზე: ქართველ ჰოკეისტთა პირველი თაობა (გადაღებულია 1960 წელს).

◎ ინტერნეტიდან

მელისა ვიერის დარდით იხსენებს

ეჰ, რა დრო იყო, როდესაც კრისტიან ვიერი ევროპის სტადიონებს ოვაციებს წყვეტდა და ისეთ ლამაზმანებს იკოტრიალებდა საწოლში, მათ დანახვას არაფერი ჯობდა. ეს კი არადა, ვიერის კაშკაშობიდან აგერ უკვე რამდენი წელია გასული და ბევრი ქალი მას ვერ ივიწყებს და სიზმარშიც კი იტალიელი შემტევი ესიზმრება.

უპოპულარულესი იტალიელი მოდელი მელისა სატა ვინ არ იცის? თუ არ იცით და აგერ გეტყვით, რომ ამისთანა მოდელი და შხუილა ქალბატონი იტალიაში კი არა, მთელს დუნიაზეც კი ერთ-ორი თუ დაიარება. ჰოდა, ამ მელისა სატას ამასწინათ ვიერიზე ისეთი რამეები ულაპარაკია, გულს რომ გაუხარებს ადამიანს.

როგორც სენიორა მელისა ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ „ბობოს“ სკანდალურად და წივილ-კივილით დაშორდა, დღესაც დარწმუნებულია, რომ ვიერი მისთვის ყველაზე გამორჩეული მამაკაცი იყო და ერთგვარი გულისწყვეტით იძახის, ძველი დრო რომ იყოს, ვიერის საწოლში კოტრიალს კვლავ გავაგრძელებდიო. ნეტა, ახლა რა უშლის ხელს?...

როსტომ რაჭველიშვილი

ვასილ კიკნაძე



ქართულმა თეატრმცოდნეობამ, საერთოდ, ჩვენმა თეატრალურმა ხელოვნებამ, დიდი და მტკივნეული დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა **ვასილ (ვასო) კიკნაძე,** ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პუბლიცისტი, ორატორული ხელოვნების ოსტატი, პოლემისტი, ჭეშმარიტი პატრიოტი და ქვეყნის ღირსეული მოქალაქე. თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, დიდი აკაკი ხორავას ინიციატივით, იგი მიიწვიეს რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ და მთელი ათი წლის მანძილზე წარმატებით უძღვებოდა მასზე დაკისრებულ ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს. ამ წლებში გამოვლინდა ახალგაზრდა თეატრმცოდნის პროფესიონალიზმი და მჩქეფარე ენერგია თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკის განსაზღვრაში. მანვე განსაკუთრებული წვლილი შეიტანა თვალსაჩინო ქართველ მწერლებსა და თეატრს შორის შემოქმედებითი კავშირის დასამყარებლად და, შემდგომ, მის განსამტკიცებლად. ამ ათი წლის (1954-1964წ.წ.) მანძილზე რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა — საიუბილეო თარიღი თუ რეჟისორისა და მსახიობის ყველა წარმატება მან, მისთვის ჩვეული ობიექტურობით, გააცნო მკითხველთა ფართო წრეებს და მთელი სეზონების მემატიანედ იქცა. ამავე წლებში დაინტერესდა იგი დიდი სანდრო ახმეტელის ნოვატორული შემოქმედებით და მისი ცხოვრების ტრაგიკული ფინალით, რასაც მრავალი გამოკვლევა თუ მონოგრაფია მიუძღვნა. მან, პირველმა, შეკრიბა ს.ახმეტელის თეორიული წერილები, მოხსენებები, სტატიები, პირადი შთაბეჭდილებები და ამით საფუძველი ჩაუყარა „ახმეტოლოგიას“. შემთხვევით არ არის, რომ მას, როგორც თეატრმცოდნეს, გამონაკლისის სახით, მიენიჭა, რეჟისორთათვის განკუთვნილი „ახმეტელის პრემია“(ორი ვრცელი მონოგრაფია და ბელეტრიზებული ბიოგრაფია „ცხოვრება სანდრო ახმეტელისა“).

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა (სამ ათეულ წელზე მეტი ხანგრძლივობით) ჯერ თეატრალურ ინსტიტუტში, შემდეგ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც შეუცვლელი პრორექტორისა და ბრწყინვალე პედაგოგისა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი მოწოდებით პედაგოგი იყო, ყოველი მისი ლექცია (რომელსაც ისმენდნენ არა მხოლოდ თეატრმცოდნეები, არამედ რეჟისორები, მსახიობები, კულტსაგანმანათლებლო ფაკულტეტის სტუდენტები) გამოირჩეოდა ორიგინალურობით, წარმტაცი თხრობით, ბრწყინვალე იმპროვიზაციებით და ფრიად საგულისხმო ასოციაციებით. არსად ისე კარგად არ გრძნობდა თავს, როგორც ლექციაზე, ეს იყო მისი სიცოცხლე, მისი მოწოდება და სათავე მისი შინაგანი კმაყოფილებისა. სტუდენტები გრძნობდნენ ამას და შესაბამის სულიერ კონტაქტს ამყარებდნენ მასთან. ამითაც უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კურსდამთავრებულთა თაობები სიყვარულით და მოწიწებით პასუხობდნენ გამოჩენილი ლექტორის ძალისხმევას.

მისი მრავალმხრივი ნიჭიერების ერთი ასპექტი ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის ხელოვნებაც იყო. მრავალი წლის მანძილზე საქართველოს კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების განყოფილების უფროსი გახლდათ. მისმა ენერგიამ და პროფესიულმა პასუხისმგებლობამ მთლიანად მოიცვა ჩვენი ქვეყნის თეატრები. არც მანამდე და არც შემდეგ ამ განყოფილებას ასეთი ენერგიული და აქტიური ხელმძღვანელი არ ჰყოლია. იგი ესწრებოდა ყველა პრემიერას, მონაწილეობდა ყველა განხილვაში, ე.წ. „ადგილობრივ თეატრებს“ ქმედითად ეხმარებოდა სარეპერტუარო პოლიტიკის წარმართვაში. ოთარ თაქთაქიშვილის მინისტრობის დროს, მან შეძლო შეუძლებელი — მისი ინიციატივით (ცხადია, მინისტრის მხარდაჭერით) ახალციხეში ჩამოყალიბდა ქართული თეატრი, რომლის მსახიობები (მთლიანად!) ვ.კიკნაძის სტუდენტები იყვნენ. მესხეთში ქართული თეატრის ფუნქციონირებას კი, ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც.

პრორექტორობის დროს ვ.კიკნაძე უნარიანად წარმართავდა სასწავლო პროცესებს, თამამად იწვევდა ახალგაზრდა სპეციალისტებს, ხელს უწყობდა მათ პროფესიულ ზრდას. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ორი კარდინალური საკითხის გადაწყვეტაში. თავისი ცოდნა, ენერგია, დიპლომატიური მოქნილობა შეალია თეატრალურ ინსტიტუტში კინოს ფაკულტეტის ჩამოყალიბებას და შემდგომ, მისი პროფილის გაზრდას (ცხადია, მაშინდელი რექტორის — ეთერ გუგუშვილის მხარდაჭერით და აკაკი დვალიშვილისა და რეზო ჩხეიძის ძალისხმევით). კიდევ ერთხელ დასჭირდა თავისი უშრეტი ენერგიის გამოვლინება, როცა საქმე მიდგა თეატრალური ინსტიტუტისათვის საუნივერსიტეტო სტატუსის მინიჭებაზე. მან, თითქოს, „რკინის ქალამნები“ ჩაიცვა, მრავალგზის სტუმრობდა, სათანადო ვიზის მისაღებად, სხვადასხვა სამინისტროს და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

ვ.კიკნაძის თეატრმცოდნეობითი მემკვიდრეობა ჭეშმარიტად თვალშეუმდგარია, რომელიც შთაბეჭდილებას ახდენს არა მხოლოს სიმრავლით (30-ზე მეტი მონოგრაფია და ათასზე მეტი სტატია), არამედ პრობლემატიკის სიახლით, პროფესიული ოსტატობით, წერის კულტურით და კვლევის ორიგინალობით. მან, პირველმა, სრულყოფილად შეისწავლა დავით კლდიაშვილის დრამატურგია და მისი პიესების დადგმის ისტორია. სწორედ ვ.კიკნაძის მიერ იქნა შემოღებული და დამკვიდრებული ცნება „დავით კლდიაშვილის თეატრისა“. ამ მონოგრაფიაში მან ცხადჰყო დიდი მწერლის პიესების როგორც დრამატული — სცენური ღირებულებანი, ისე ესთეტიკურ-სტილისტური თავისებურებანი. პიესების ტრაგიკულ-კომიკური ბუნება, მათი ფსიქოლოგიური სიღრმე სწორედ მის მონოგრაფიაში გაანალიზდა სრულყოფილად. საერთოდ, ვ.კიკნაძისთვის დამახასიათებელი იყო მძაფრი გრძნობა პირველობისა, მან პირველმა შექმნა ორი შესანიშნავი მონოგრაფია ქართველ რეჟისორებზე („ქართული რეჟისურის ისტორია“ და „ქართველი რეჟისორები“), რომლებიც ერთგვარი წინამძღვარნი აღმოჩნდნენ მისი მონუმენტური ორტომეულისათვის, „ნარკვევები ქართული დრამატული თეატრების ისტორიიდან“. ამ ორტომეულში წარმოდგენილია ქართული თეატრის ისტორიის ყველა ეტაპი, მისი განახლებიდან მეოცე საუკუნის სამოციანელ წლებამდე, განხილულია ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, გაანალიზებულია საეტაპო სპექტაკლები და დრამატული თხზულებანი. ეს არის ზღვა მასალა შემდგომი კვლევისთვის და განსჯისათვის, რომელსაც ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარები გვერდს ვერ აუვლიან.

იგი იყო კაცთმოყვარე, გრძნობიერი ადამიანი, ვერ ურიგდებოდა უსამართლობას. სტანჯავდა ზოგიერთთა უმადურობა, ახარებდა სხვისი წარმატება. სულის სიღრმემდე განიცდიდა ბედისა თუ დროის უკუღმართობით გამოწვეულ ტრაგიკულ მოვლენებს. სწორედ ესეც იყო მძლავრი იმპულსი სანდრო ახმეტელის ღრმად ტრაგიკული ბედის სიღრმეში შეღწევისათვის, იგივე იმპულსი ამოძრავებდა მას, როცა შექმნა ნარკვევების მშვენიერი წიგნი რუსთაველის თეატრის იმ მსახიობებზე, რომელთაც „კგბ“-ს ჯურღმულებში ამოხადეს სული. ამ წიგნის წაკითხვა შეუძლებელია აღელვებისა და თანაგანცდის გარეშე. შემთხვევითი არაა, რომ იგი ორგზის გამოიცა, ხოლო მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა საინტერესოდ გაასცენიურა იგი.

ვ.კიკნაძის ბელეტრისტული ნიჭი სრულიად გამოვლინდა მოგონებათა წიგნში „გამოთხოვება წარსულთან“. აქ ნათლად ჩანს მისი პიროვნული სიდიადე — მიმტევებლობის ნიჭი, ირონია და, რაც მთვარია, თვითირონია, მოყვასის სიყვარული, ადამიანებში მხოლოდ კეთილი საწყისის აღმოჩენის უნარი. ეს მოგონებები დაწერილია სხარტად, საინტერესოდ, ყველა ეპიზოდს ახლავს დრამატული ინტრიგა, ისტორიები მიმზიდველია და საგულისხმო. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბუნებით მინიჭებული მისი ნიჭი ორატორობისა. იგი იყო ოსტატი მსმენელის ყურადღების დაპყრობისა, ზოგჯერ მონუსხვისაც კი. „ქართული თეატრის დღისადმი“ (14 იანვარი) მიძღვნილი სადღესასწაულო შეკრებები წარმოუდგენელი იყო მისი „სეფე“ სიტყვის გარეშე, ხშირად გამოდიოდა თეატრალურ მოღვაწეთა იუბილეებზე თუ სამგლოვიარო მატიანეებზე, ეხმაურებოდა ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. საზოგადოებრივი მოღვაწეობა კი ადრე დაიწყო, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, იგი საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი გახდა (კვლავ ა.ხორავას ინიციატივით). არც მანამდე და არც შემდეგ პრეზიდიუმს ასე ახალგაზრდა წევრი არ ჰყოლია.

ვ. კიკნაძე იყო ღირსების ორდენის კავალერი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი (შემდგომ, ემერეტუს-პროფესორი), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დოქტორი ამ სფეროში), მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი, „წლის საუკეთესო რეცენზიის“ (მრავალგზის) ავტორი.

იღვაწა, იშრომა, იბრძოლა და, ბოლოს, ნელ-ნელა ჩაქრა, მისი ხსოვნა კი დიდხანს დარჩება იმათ გულებში, რომელთაც ცხოვრების აზრად თეატრალური ხელოვნებისთვის თავდადება უმთავრეს აზრად უქცევია.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

„მოუარეთ საქართველოს!“



ბაჩანა ბრეგვაძე — 40 დღე გავიდა მისი გარდაცვალებიდან... ყველაზე დაუღალავი და ნაყოფიერი მთარგმნელი წავიდა ჩვენგან... ის იმ უხმაურო მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ჭეშმარიტ ერისკაცებსა და მამულიშვილებს დაუბრკოლებლად შეუერთდება ზეციურ საქართველოში...

ჩვენ, მის უმცროს კოლეგებს, თითქმის მთელი ოცი წელი გვქონდა ბედნიერება გვემუშავა მასთან ან უკვე გაუქმებულ მთარგმნელობით კოლეგიაში. დიდად განსწავლული და რამდენიმე ენის მცოდნე, სუფრაზეც კი, ორიოდე სიტყვის მთქმელი იყო და ამ ორიოდე სიტყვითაც უფრო მნიშვნელოვანს გვეუბნებოდა, ვიდრე მავანი და მავანი — დაუმთავრებელი ტირადით.

რომ ჩამოვთვალოთ მისი ხელიდან გამოსული შედევრების თარგმანები, ძალიან გრძელი სია გამოგვივა. ქართველმა მოსწავლემ თუ სკოლაში სწავლისას მოასწრო ბატონი ბაჩანას თარგმნილი წიგნების წაკითხვა, მას, უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარებამდე, ერთი უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული ექნება... და ბატონ ბაჩანასნაირ დიდ ადამიანებს თუ სიცოცხლეში — ვერა, სიკვდილის შემდეგ მაინც უნდა ვაფასებდეთ ჯეროვნად და ღირსეულად.

მეოცე საუკუნის თაობის შემოქმედი მოღვაწეობიდან, დაუღალაობით, შეუპოვრობითა და ნაყოფიერებით, თუ ვინმეს შეიძლება შევადაროთ ბაჩანა ბრეგვაძე, ალბათ, მხოლოდ თავის არახორციელ მამას — დიდ პავლე ინგოროყვას. ისიც, პავლე ინგოროყვასავით, უხმაუროდ და ჩუმად აკეთებდა ქართველი ერისთვის ჰაერივით საჭირო საქმეს, ბატონ ბაჩანასთანაც რომ მისულიყო დღევანდელი რომელიმე ხელისუფალი და ეკითხა მისთვის, რა სათხოვარი გაქვთო, ისიც იმასვე უპასუხებდა, რაც პავლე ინგოროყვამ უპასუხა იმდროინდელ ხელისუფალს: „მოუარეთ საქართველოს!“

საქართველოში ჯერ არც ერთ მთარგმნელს არ უთარგმნია უმაღლეს დონეზე იმდენი პირველხარისხოვანი პროზაული ნაწარმოები, რამდენიც ბატონმა ბაჩანამ თარგმნა.

უგზო-უკვლოდ დაკარგული ივანე მაჩაბლის ძვალშესალაგი რომ აღმოგვეჩინა სადმე, მის ძვლებს უთუოდ მთაწმინდის პანთეონში მივუჩენდით სამარადისო ბინას და სწორადაც მოვიქცეოდით. ბაჩანა ბრეგვაძეც ნამდვილად სამთაწმინდე კაცია. მან, ალბათ, უფრო მეტი იღვაწა და გააკეთა საქართველოსთვის, ვიდრე ივანე მაჩაბელმა და, იქნებ, მასზე უფრო დიდი მთარგმნელიც იყოს... — ყველა არსებულ საზოგადოებას ხომ არასდროს მიაჩნია თავისი თანამედროვე დიდი ადამიანი იმის ღირსად, რასაც ის იმსახურებს!..

ბათუ დანელია

მილსადენიდან ნედლ ნავთობს იპარავდნენ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-სუფსის მაგისტრალური მილსადენიდან, დიდი ოდენობით ნედლი ნავთობის ქურდობის ფაქტზე ორი პირი დააკავა.

გიორგი ლაშხირიძე და იაგო კახაბრიშვილი, სისტემატურად, ფარულად ეუფლებოდნენ მაგისტრალურ მილსადენში გამავალ ნედლ ნავთობს. ბრალდებულებმა, ქარელის რაიონის სოფელ რუისში, სპეციალური ტექნიკური მოწყობილობებით, მიწის ქვეშ გაიყვანეს 1 კილომეტრი სიგრძის კუსტარული მილსადენი, შემდგომში დააზიანეს „ბრიტიშ-პეტროლიუმის“ საკუთრებაში არსებული ბაქო-სუფსის მაგისტრალი, დაზიანებულ ადგილზე დაამონტაჟეს სპეციალური ონკანი და სისტემატურად ახორციელებდნენ ცენტრალური მილსადენიდან ნედლი ნავთობის გადადინებას მათ საკუთრებაში არსებულ რეზერვუარებში. მოპარული ნავთობის ტრანსპორტირებისას კი ავტომანქანაში არსებულ რეზერვუარებს შენიღბვის მიზნით ფარავდნენ ბოსტნეულით.

ბრალდებულები მოპარული ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებას და დასაწყობებას ახდენდნენ ქალაქ თბილისში, თავჭრელიძის ქუჩაზე მდებარე ძველი ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებულ რეზერვუარებში, სადაც შემდგომში ახდენდნენ მის გადამუშავებას და სარეალიზაციოდ გამზადებას.

რატომ შეწყვიტა ინტერპოლმა დათა ახალაიას მიმართ საერთაშორისო ძებნა?

ინტერპოლმა კუდის ყოფილი მაღალჩინოსნის დათა ახალაიას მიმართ საერთაშორისო ძებნა შეწყვიტა.

შესაბამის ინფორმაციას ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი სოციალურ ქსელში ავრცელებს.

„ინტერპოლმა დათა ახალაიას ძებნა შეწყვიტა იმ მოტივით, რომ მის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დევნა მიმდინარეობს!“ – წერს ნადარეიშვილი.

დათა ახალაია საქართველოში რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზეა ბრალდებული და დაუსწრებლად პატიმრობა აქვს მისჯილი.

საქართველოს მთავარი პროკურატურა დავით ახალაიას მიმართ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნის შეწყვეტასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ინტერპოლის გენერალური სამდივნო დაეყრდნო 2015 წლის 18 თებერვალს ინტერპოლის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციებს, რომელთა საფუძველზეც ახლებურად რეგულირდება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირების მონაცემთა დამუშავების საკითხები.

კერძოდ, ხსენებული ინსტრუქციების მიხედვით, თითოეული წითელი ცირკულარის (red notice request) ან ძებნის გავრცელების (diffusion request) თაობაზე თხოვნა ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის მიმართ უნდა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1) დასტურდება თუ არა ფაქტი იმის თაობაზე, რომ პირი ფლობს ლტოლვილის სტატუსს ან იგი წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებელს;

2) დასტურდება თუ არა ფაქტი იმის თაობაზე, რომ პირის მიმართ წითელი ცირკულარის ან ძებნის გავრცელების თხოვნა მიღებულია მისი წარმოშობის სახელმწიფოდან;

3) დასტურდება თუ არა ფაქტი იმის თაობაზე, რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭება კონკრეტული სახელმწიფოს მიერ არ არის განპირობებული წარმოშობის სახელმწიფოსთან მიმართებაში არსებული პოლიტიკური მოტივებით.

შესაბამისად, დავით ახალაიას შემთხვევაში ინტერპოლის ფაილების კონტროლის კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ძებნილ პირს მინიჭებული ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი და ძებნის შეწყვეტის რეკომენდაციით მიმართა ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს, რაც ამ უკანასკნელის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 2016 წლის 9 მარტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარი პროკურატურა აცხადებს, რომ დავით ახალაიას მიმართ ძებნის შეწყვეტა განხორციელდა არა ინტერპოლის კონსტიტუციის მე-3 მუხლის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, კრძალავს ძებნის წარმოებას დანაშაულის პოლიტიკური ხასიათის გამო, არამედ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ დავით ახალაიას ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერპოლის ზემოთ მითითებული მიდგომა გამონაკლისი არ არის მხოლოდ დავით ახალაიასა და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილ სხვა რამდენიმე პირთან. კერძოდ, მონაცემთა დამუშავების თაობაზე ახალი ინსტრუქციების დამტკიცებიდან დღემდე ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ ასევე საერთაშორისო ძებნა გააუქმა ინტერპოლის წევრი სახელმწიფოების მიერ ძებნილ 209 პირთან დაკავშირებით, მათ შორის, საფრანგეთის, ესტონეთის, იტალიის, მოლდოვას, უკრაინის, სერბეთის, ხორვატიის, ნიდერლანდების სამეფოს, ბელგიის სამეფოს და სხვა ქვეყნების მიერ ძებნილ პირებთან მიმართებაში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პროკურატურა საქართველოში ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსთან ერთად ინტერპოლის რეგულაციების ფარგლებში გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ დღეს არსებული მიდგომის გასაუქმებლად და მიღებული გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად. საქართველოს პროკურატურა მიმართავს ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტს და შესაძლებლობას, რათა მსჯავრდებული დავით ახალაია წარსდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე.

ხველების წამალი

წლის ცივ პერიოდში, გაციებას ბევრჯერ ხველაც ახლავს, **რომელსაც ხშირად წამლებიც ნაკლებად შველის. არადა, არის ერთი ხალხური რეცეპტი, რომელიც უამრავ შემთხვევაში სასწაულებრივად მოქმედებს.**

● ერთ სუფრის კოვზ პიტნას ერთი ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით, შემდეგ ნელ ცეცხლზე ხუთი წუთის მანძილზე დადგით და მერე დოლბანდში გაწურეთ. ამის შემდეგ მიღებულ ნახარშში გახსენით ერთი ჩაის კოვზი თაფლი, მასში მეოთხედი ლიმონის წვენი ჩაწურეთ და ეს ცხელი ნაზავი ძილის წინ დალიეთ.

უმრავლეს შემთხვევაში ხველება ერთ ღამეში გადის.

● სამკურნალო ეფექტის გასაძლიერებლად კარგია ცხელი კომპრესის გაკეთებაც: ცხელი წყლის სამი ნაწილს ერთ ნაწილ ვაშლის ძმარი დაუმატეთ. კომპრესი ყელსა და მკერდზე 15-20 წუთით დაიდეთ.

დამირეკე, აუცილებლად დამირეკე!

ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ რაც უფრო ხშირად ხმარობს ადამიანი ტელეფონს, მით უფრო მაღალია მისთვის დეპრესიის საფრთხე.

სამ ათეულ მოხალისესთან ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად გაირკვა, რომ ბედნიერი ხალხი დღე-ღამეში ტელეფონით 17 წუთამდე ლაპარაკობს. დეპრესიულ ადამიანებში კი ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია – 68 წუთი. სატელეფონო საუბრების მოთხოვნილება იმის ნიშანია, რომ კაცი საკუთარი პერსონისადმი ყურადღების მიპყრობას ცდილობს.

რა არის, კითხვა გიჭირს?

პედაგოგები სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას იმის გამო, რომ ბავშვებს უჭირთ ტექსტის დიდი ნაწყვეტების წაკითხვა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე სასწავლო ლიტერატურას ეხება, თორემ მხატვრულზე ლაპარაკი არც არის.

ამის მიზეზი ეგრეთ წოდებული „კლიპური აზროვნებაა“, როცა ადამიანს (არა აქვს მნიშვნელობა, ზრდასრულს თუ მოზარდს) ინფორმაციის დიდი მოცულობის აღქმა უჭირს და მას მხოლოდ მოკლე შეტყობინებების სახით ითვისებს – ეს იქნება სატელევიზიო და ინტერნეტის ახალი ამბები თუ ვიდეოკლიპების მსგავსი სურათები. მით უმეტეს ამის გაკეთება უჭირთ ახალგაზრდებს: მოზარდს შეუძლია რამდენიმე ასეთი კლიპის აღქმა, მაგრამ ორგვერდიანი ინფორმაციის გააზრება უჭირს. არადა, საბავშვო თუ საყმაწვილო ჟურნალების უმეტესობა მათ ინფორმაციას სწორედ ამ ფორმით აწვდის. მეტიც: ამ პრინციპითვე დგება სასკოლო სახელმძღვანელოები, რის შედეგად პატარებს ლოგიკური აზროვნების ჯაჭვის აგება, ტექსტში ჩაღრმავება და ანალიზი აღარაფერში სჭირდებათ.

არადა ეს, ბავშვთა ფსიქოლოგების, მათ შორის, ამერიკელი ლარი როზენის აზრით, ბავშვის მომავლისთვის ერთ-ერთი აუცილებელი უნარია – გონებრივი განვითარების ხარისხი ჯერ არავის გაუუქმებია.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

უნიკალური ნივთია გაზეთი. იგი მაგიდის გადასაფარებლადაც შეიძლება გამოიყენო, ბუზის საკლავადაც, ვენტილიატორადაც, ტუალეტის ქაღალდადაც, ქუდადაც, ქოლგადაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, წასაკითხავადაც.

* * *

სალამო... ტელევიზორში ახალი ამბები გადის.

— 2016 წელს რუსეთის ფედერაციაში ბენზინი აქციზის გადასახადის გაზრდის გათვალისწინებით 10,4 პროცენტით გაიზრდება, — ამბობს დიქტორი.

— ოჰ, ობამა, შე ჩათლახო, თუ დაგიჭირე, ყელს გამოგჭამ იცოდე! — ყვირის ტელემაყურებელი.

* * *

— უკვე ათი წელიწადია, იმპოტენტი ვარ, — ეწუწუნება ერთი მამაკაცი მეორეს.

— მე კი (ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს!) მხოლოდ ხუთი წლის წინათ დამეწყო იმპოტენცია.

* * *

მამა-შვილი მანქანით მიდის. საჭეს ვაჟი უზის.

— აბა, რას იტყვი, მამი, უკვე შემიძლია მანქანის ტარება?

— ჯერ ის მითხარი, თუ დაინახე ტროტუარზე მოკლეკაბიანი ლამაზი გოგო?

— არ დამინახავს.

— ესე იგი, ჯერ არ იცი, შვილო მანქანის კარგად მართვა.

* * *

სამი ქერათმიანი ლამაზმანი საუბრობს:

— გოგოებო, გუშინ ჩემი ქალიშვილის ჩანთაში ღვინო აღმოვაჩინე. ესე იგი, იგი სვამს.

— მე კი ჩემსას სიგარეტი აღმოვუჩინე. ესე იგი, იგი ეწევა.

— ოი, მე კი ჩემი გოგოს ხელჩანთაში პრეზერვატივი ვიპოვე. მე მგონი, იგი მამაკაცია!!!

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“!